ბერლინის მუზეუმში დაცული ქართული ნუმიზმატიკური ძეგლები

GEORGIAN COINS
IN THE NUMISMATIC COLLECTION OF THE STATE MUSEUMS IN BERLIN

MÜNZEN AUS GEORGIEN
IM MÜNZKABINETT DER STAATLICHEN MUSEEN ZU BERLIN

მაია პატარიძე • ბერნჰარდ ვაისერი • კარსტენ დამენი
MAIA PATARIDZE • BERNHARD WEISSER • KARSTEN DAHMEN

ბერლინის მუზეუმში დაცული ქართული ნუმიზმატიკური ძეგლები

GEORGIAN COINS IN THE NUMISMATIC COLLECTION OF THE STATE MUSEUMS IN BERLIN

MÜNZEN AUS GEORGIEN IM MÜNZKABINETT DER STAATLICHEN MUSEEN ZU BERLIN

2024
თბილისი
Tbilisi

ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
მაია პატარიძე
ბერნჰარდ ვაისერი
კარსტენ დამენი

ᲨᲔᲛᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ:
მარიამ ქორიძე

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
დავით მიქელაძე
მაია გურაბანიძე

ᲓᲐᲙᲐᲑᲐᲓᲝᲜᲔᲑᲐ | ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘ:
ირაკლი დევდარიანი

ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ:
ნინო მიწიშვილი
თამარ ქორელი

AUTHORS:
Maia Pataridze
Bernhard Weisser
Karsten Dahmen

COMPILER:
Mariam Koridze

EDITORS:
David Mikeladze
Maia Gurabanidze

LAYOUT DESIGN:
Irakli Devdariani

TRANSLATION BY:
Nino Mitsishvili
Tamar Koreli

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით №YS-19-2229

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia grant №YS-19-2229

Münzkabinett
Staatliche Museen zu Berlin

ISBN 978-9941-9822-9-3

© მაია პატარიძე. ბერნჰარდ ვაისერი. კარსტენ დამენი. 2024
Maia Pataridze. Bernhard Weisser. Karsten Dahmen. 2024

ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ
ᲒᲝᲩᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲣᲜᲓᲣᲐᲡ** ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ,
ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲡᲔ ᲔᲚᲝᲓᲜᲔᲜ
ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲡ

THIS WORK IS RESPECTFULLY DEDICATED TO THE
MEMORY OF THE GEORGIAN SCHOLARS
GOCHA JAPARIDZE AND **GIORGI DUNDUA,**
WHO WERE EAGERLY LOOKING FORWARD TO SEEING
BERLIN’S GEORGIAN COLLECTIONS

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი – „გერმანიაში (ბერლინის მუზეუმის მიუნცკაბინეტში) დაცული ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების შესწავლა: მონეტების მოძიება, აღწერა-ატრიბუცია, კორპუსის გამოცემა“, დაგეგმილზე მეტი ხნის განმავლობაში ხორციელდებოდა, შესაბამისად, მის წარმატებით დასრულებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, მადლობა გადავუხადო იმ ორგანიზაციებსა თუ კერძო პირებს, რომლებსაც ამაგი აქვთ გაწეული ამ ნაშრომის გამოცემის საქმეში.

პირველ რიგში, მადლობა მინდა მოვახსენო გერმანიის პრუსიული მემკვიდრეობის ფონდს. 2012 წელს, ამ ფონდის სტიპენდიის ფარგლებში, გავეცანი ბერლინში დაცულ ქართულ კოლექციებს. მადლობას ვუხდი მიუნცკაბინეტის იმჟამინდელ დირექტორ ბერნდ კლუგეს გულითადი მიღებისთვის. ასევე, მადლობით მოვიხსენიებ მიუნცკაბინეტის აწ უკვე ყოფილ თანამშრომელ ვალენტინა შრიოდერს სასიამოვნო სამუშაო განწყობის შექმნისთვის. ჩემი განსაკუთრებული მადლობა ნაშრომის თანაავტორებს: მიუნცკაბინეტის დღევანდელ დირექტორს, ბერნჰარდ ვაისერსა და დირექტორის მოადგილე კარსტენ დამენს. რომ არა მათთან სერიოზული და ნაყოფიერი თანამშრომლობა, ეს წიგნი ვერ გამოვიდოდა.

განსაკუთრებულ პატივისცემას ვუდასტურებ და უღრმეს მადლობას მოვახსენებ საქართველოს პრეზიდენტს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს მხარდაჭერისთვის.

აღნიშნული პროექტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ჩემი მუშაობის დროს დაიწყო. შესაბამისად, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს, აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძესა და მუზეუმის თანამშრომლებს.

განსაკუთრებული მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ნინო დობორჯგინიძესა და ამ უნივერსიტეტის კოლეგებს, რომელთა დახმარების გარეშე ძალიან გამიჭირდებოდა პროექტის დასრულება.

მადლობას მოვახსენებ ჩემს უფროს კოლეგებს, ნუმიზმატებს: თინათინ ქუთელიას, რომლის პროფესიონალურ რჩევებს სიამოვნებით ვითვალისწინებდი, და პროექტის მენტორს, მედეია წოწელიას. ასევე, დიდი მადლობა გორის მუზეუმის მიუნცკაბინეტის თანამშრომელს, თამარ ქორელს.

მადლობას ვუხდი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს პროექტის ფინანსური მხარდაჭერისთვის, ასევე, გვერდში დგომისთვის იმ მძიმე გამოწვევების დროს, რაც ამ პროექტზე მუშაობის დროს შემხვდა წლების განმავლობაში. რომ არა მათი დახმარება, წარმოდგენილი ნაშრომი დღის სინათლეს ვერ იხილავდა, ან, უკეთეს შემთხვევაში, მისი გამოცემა დიდი ხნით გადაიდებოდა.

მადლობა ჩემს ოჯახს გვერდში დგომისთვის.

დაბოლოს, ჩემს თანაავტორებთან ერთად მადლობას მოვახსენებ ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც არ დაიშურეს საკუთარი დრო და ენერგია, დაგვხმარებოდნენ მუშაობის პროცესში, ყველა იმათ, ვინც თუნდაც ერთი ღირებული რჩევა მოგვცა.

პროექტის ხელმძღვანელი

მაია პატარიძე

The project funded by the Shota Rustaveli National Science Foundation, entitled "Study of Georgian Numismatic Artifacts in Germany (The Münzkabinett of The State Museums in Berlin): identification, Attribution-classification, publishing of a Corpus," faced some unexpected challenges, causing it to take longer than anticipated. However, with a lot of hard work and dedication, the project was completed successfully, thanks to the tireless effort of many individuals and organizations, and I am pleased to express my sincere gratitude to all those who made it possible.

Firstly, I would like to thank the German Prussian Heritage Foundation, for providing me with a scholarship that allowed me to become acquainted with the Georgian coin collections. I am grateful to Prof. Bernd Kluge, the former director of the Münzkabinett, for his warm welcome, and to Valentina Schröder, the former employee of the Münzkabinett, for fostering a pleasant working environment.

I would also like to express my gratitude to the co-authors of this book, Prof. Bernhard Weisser, the current director of the Münzkabinet, and Dr. Karsten Dahmen, the deputy director, for their invaluable collaboration and support. Without their expertise and dedication, this book would not have been published.

I am honoured to extend my heartfelt appreciation to Mrs. Salome Zurabishvili, the President of Georgia, for her unwavering support throughout the project.

I am grateful to Prof. David Lordkipanidze, the General Director of the National Museum of Georgia, and my colleagues at the Museum for their contributions and support.

I extend my sincere gratitude to Professor Nino Doborjginidze, the Rector of Ilia State University, and my colleagues at the same university, who provided me with invaluable assistance and support throughout the project.

I would also like to express my appreciation to my senior colleagues, Tinatin Kutelia and Medea Tsotselia, for their professional advice and mentorship, and to Tamar Koreli, staff member at the Gori Museum's Coin Collection.

I am grateful to the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia for their financial support and for standing by the project throughout its challenges. Without their help, the publication of this book would not have come to fruition or would have been significantly delayed.

I would like to thank my family for their support throughout the project.

Finally, together with my co-authors, I would like to express my appreciation to all those who devoted their time and energy to assist us in the work process and provided valuable advice. The successful completion of this project would not have been possible without the support, encouragement, and collaboration of all those involved.

Principal investigator

Maia Pataridze

წიგნში შესულია გერმანიაში, ბერლინის ბოდეს მუზეუმის მიუნცკაბინეტში დაცული ქართული ნუმიზმატიკური ძეგლები აღწერილობებითა და შესაბამისი სამეცნიერო კომენტარებით ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ნაშრომში პირველად სრულად არის თავმოყრილი ბერლინის მიუნცკაბინეტის მიერ 1874 წელს შეძენილი ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებლის, მიხეილ ბარათაშვილის (ბარათაევის) პირადი კოლექცია და იქვე დაცული ყველა სხვა ქართული მონეტა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით – ძვ. წ. V საუკუნიდან 1834 წლამდე.

წიგნი განკუთვნილია როგორც ნუმიზმატიკის დარგის სპეციალისტებისა და ისტორიკოსებისთვის, ასევე, საქართველოსა და გერმანიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით დაინტერესებული საზოგადოებისთვის.

The book showcases Georgian coins housed in the Münzkabinett of the Staatliche Museen zu Berlin in the Bode-Museum in Germany, providing detailed descriptions and a comprehensive scholarly apparatus in both Georgian and English. This study marks the first effort to offer a consolidated overview of the private numismatic collection of Michael Baratashvili, the pioneer of Georgian numismatics. This collection, acquired by the Berlin Münzkabinett in 1874, includes Georgian coins owned by the museum, all presented in chronological order from the 5^{th} century BC to 1834.

Designed for numismatists, historians, and students of Georgian and German antiquities, the book aims to serve as a valuable resource for those interested in the rich history of Georgian coins and the cultural ties between Georgia and Germany.

Das Buch präsentiert georgische Münzen, die im Münzkabinett der Staatlichen Museen zu Berlin im Bode-Museum (Deutschland) aufbewahrt werden, einschließlich einer Beschreibung der Münzen und eines vollständigen wissenschaftlichen Apparats in georgischer und englischer Sprache.

Die vorliegende Studie ist der erste Versuch, eine einheitliche Beschreibung der privaten numismatischen Sammlung von Michael Baratashvili, dem Begründer der georgischen Numismatik, die 1874 vom Berliner Münzkabinett erworben wurde, und aller anderen georgischen Münzen im Museumsbesitz zu erstellen und diese in chronologischer Reihenfolge, beginnend mit dem 5. Jh. Chr. bis 1834 hier vorzustellen.

Das Buch richtet sich sowohl an Numismatiker und Historiker als auch an Studierende der Altertümer in Georgien und Deutschland.

„ჩემს თავს ბედნიერად ვთვლი, თუ ჩემი პირველი ნაშრომი თქვენს მშვენიერ მამულში გააღვიძებს სურვილს ამგვარი მუშაობის განგრძობისას, ჩემგან დაწყებული საქმის შესავსებად და გასაღრმავებლად... მაშინ ეს ჩემი ნაშრომი დარჩება, როგორც მხოლოდ თქვენი სახსოვარი ჩემს გულში და მეც იმედი მექნება, გამიხსენებთ თქვენდამი პატივისცემის გრძნობით აღსავსე წინაპარს".

მიხეილ ბარათაშვილი (ბარათაევი). 1844

"I will consider myself a fortunate man if my first study will entail an aspiration for your beautiful country to continue the research in order to make it deeper and more comprehensive.... If this will not be the case, let my work remain as a token of your affection in my heart, and I hope you will remember me as your ancestor filled with profound respect towards you all."

Michael Baratashvili (Barataev). 1844

„Ich werde mich als einen glücklichen Mann betrachten, wenn es mir gelingt, einen Anstoß in Ihrem schönen Land zu geben, für weitere und tiefer gehende Forschung … sollte dies nicht der Fall sein, belassen Sie mein Werk als Pfand Ihrer Hingabe in meinem Herzen und ich hoffe, Sie werden mich als Ihren Vorfahren erinnern, der Sie alle mit tiefen Respekt betrachtet".

Michael Baratašvili (Barataev). 1844

სარჩევი
CONTENTS

შესავალი
Foreword 13

„კოლხური თეთრი"
"Colchian Tetri" 30

სვანეთის განძი
Svaneti Hoard 43

სავმაკის მონეტა
The So-Called Saumace's Coin 48

„არისტარხე – მმართველი კოლხეთისა"
"Aristarchus, Ruler of Colchis" 52

დიოსკურიული საქალაქო მონეტა
Civic coins of Dioskurias 57

ქართულ-სასანური დრაქმები
Georgian-Sasanian Drachms 61

თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი არაბული დირჰემი
Arabic Dirham Struck at Tbilisi Mint 70

დავით III კურაპალატი (961-1001)
David III Kuropalate 73

ბაგრატ III (975-1014)
Bagrat III (975-1014) 77

გიორგი II (1072-1089)
Giorgi II (1072-1089) 81

ქართული ნუმიზმატიკის „სპილენძის ხანა"
"Copper Age" of Georgian Numismatics 86

დემეტრე I (1125-1156)
Demetre I (1125-1156) 89

გიორგი III (1157-1184)
Giorgi III (1157-1184) 92

გიორგი III და თამარი
Giorgi III and Tamar 99

თამარი (1184-1210)
Tamar (1184-1210) 103

თამარ-დავითი. 1200
Tamar and David. 1200 116

გიორგი IV ლაშა (1210-1223)
Giorgi IV Lasha (1210-1223) 123

„ვერცხლის კრიზისის“ დასასრული
The end of the "Silver Famine" • • • 139

თამარი (1184-1210) რუსუდანის დამღით
Tamar (1184-1210) with Rusudan's countermark • • • 143

გიორგი IV ლაშა (1210-1223) რუსუდანის დამღით
Giorgi IV Lasha (1210-1223) with Rusudan's countermark • • • 155

ჯალალ ად-დინი (1220-1231)
Jalal Ad-Din (1220-1231) • • • 165

რუსუდანი (1223-1245)
Rusudan (1223-1245) • • • 186

რუსუდანის ეპოქის ბიზანტიური ანონიმური ფოლისი ალმოსავლური დამღით
A Byzantine Anonymous follis from the Queen Rusudan era featuring an oriental countermark • • • 207

XIII-XIV საუკუნეების ქართველ მეფეთა მონეტები
Coins of the Georgian Kings in the 13th-14th Century • • • 211

დემეტრე II (1270-1289). დავით IX (1346-1360)
Demetre II (1270-1289). David IX (1346-1360) • • • 229

ტრაპიზონული ასპრის ქართული მინაბაძი
The Georgian Imitation of Trebizond Aspron • • • 235

ლათინურ-არაბული ჰიბრიდული იმიტაციები
Hybrid imitations with combined latin and Arabic Characteristics • • • 241

XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები
Coins of the Georgian Kings and Princes in the 15th-16th centuries • • • 245

XVII-XVIII საუკუნის ქართველ მეფეთა ემისიები
Coins of the Georgian Kings in the 17th-18th centuries • • • 249

თეიმურაზ II (1744-1762)
Teimuraz II (1744-1762) • • • 260

თეიმურაზ II და ერეკლე II
Teimuraz II and Erekle II • • • 264

ერეკლე II (1762-1798)
Erekle II (1762-1798) • • • 269

გიორგი XII (1798-1800)
Giorgi XII (1798-1800) • • • 286

დავით ბატონიშვილი (1800-1801)
David Batonishvili (1800-1801). • • • 291

„სირმა აბაზი“
"Sirma Abazis" • • • 294

რუსეთის საოკუპაციო ემისია საქართველოში
Russian Occupation Emissions in Georgia • • • 340

საძიებელი
Index • • • 387

შესავალი
FOREWORD
EINFÜHRUNG

1844 წელს სანკტ-პეტერბურგში რუსულ, ფრანგულ და ქართულ ენებზე გამოქვეყნდა ფუნდამენტური ნაშრომი: «Нумизматические факты Грузинского царства» – „ნუმიზმატიკური ფაქტები, ანუ ძველნი ფული სამეფოსა საქართველოსი“. მისი ავტორია რუსეთში მცხოვრები ქართველი თავადი მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილი (ბარათაევი) (1784-1856). ეს იყო ქართული მონეტების პირველი ფართო მასშტაბის კვლევა, თვითონ მიხეილ ბარათაშვილი (ბარათაევი) კი სამართლიანად იქნა მიჩნეული ქართული ნუმიზმატიკისა და ამ დარგის მეცნიერული ტერმინოლოგიის ფუძემდებლად.

მიხეილ ბარათაშვილი დაიბადა რუსეთში, ქალაქ სიმბირსკში, ამ მხარის „ნამესტნიკის“, გენერალ-პორუჩიკ პეტრე მიხეილის ძე ბარათაშვილის ოჯახში. მისი პაპა, მელიქსედეკ (მიხეილ) ბარათაშვილი 1724 წელს ქართველი მეფის, ვახტანგ VI-ის (1675-1737) ამალას გაჰყვა რუსეთში. 1737 წელს, როდესაც მეფე გარდაიცვალა, რუსეთის მეფის მთავრობამ კატეგორიულად მოსთხოვა ქართველებს ან რუსეთის სამსახურში შესულიყვნენ, ან სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. მელქისედეკ ბარათაშვილი რუსეთში დარჩა, სიმბირსკის გუბერნიაში შეიძინა მამული და ყმა და სამუდამოდ იქ დასახლდა. სიმბირსკი მოგვიანებით ბარათაევკას[1] სახელით იხსენიებოდა. მისმა პირმშომ, პეტრე მიხეილის ძემ, შესაფერისი განათლება მიიღო, სახელმწიფო სამსახურში დიდი პატივითა და გავლენით სარგებლობდა და გენერალ-პორუჩიკის ჩინამდეც კი მიაღწია. 1780-1789 წლებში იგი სიმბირსკის გუბერნიის მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა. 1782 წელს პეტრე ბარათაშვილი გახდა „კონნაია სლობოდას“ მიწების ნაწილის, 600 დესეტინის მფლობელი, რომელიც სიმბირსკიდან 12 კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა. მან ამ მიწებზე გლეხები დაასახლა და ახალი სოფელი – ბარათაევკა დააფუძნა.[2]

მეფისნაცვალ პეტრე მელიქსედეკის ძე ბარათაშვილის ოჯახში 1784 წლის 25 იანვარს დაიბადა ვაჟი, რომელსაც მიხეილი უწოდეს. მიხეილ ბარათაშვილი ცნობილი პიროვნება გახდა. ის სამხედრო პირი იყო და მონაწილეობდა რუსეთ-საფრანგეთისა (1806-1809) და დიდ სამამულო ომებში[3] (1812-1814). ბრძოლებში გამოჩენილი მხედრული ვაჟკაცობისა და სიმამაცისთვის მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო და ორდენი.[4] 1820-1835 წწ. გახდა სიმბირსკის მაზრის, ხოლო შემდეგ სიმბირსკის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი. ცნობილია, რომ მიხეილი თანაუგრძნობდა დეკაბრისტებს, რის გამოც 1826 წელს, დეკაბრისტების აჯანყებისას დააპატიმრეს, მაგრამ სამხილების უქონლობის

1 ამჟამად ამ ადგილს ულიანოვსკი ეწოდება.

2 შ. გოზალიშვილი, მიხეილ ბარათაშვილი (თბილისი, 1987), 10; Издание Симбирской губернской Ученой Архивной Комиссии (Симбирск, 1903), 251-252.

3 Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон, Энциклопедический словарь под редакцией проф. И. Андреевского, т. III (Санкт-Петербург, 1894), 38; გოზალიშვილი, მიხეილ ბარათაშვილი, 14.

4 გოზალიშვილი, მიხეილ ბარათაშვილი, 14.

გამო (მან მოსპო ყველა მიმოწერა დეკაბრისტებთან), მალევე გაათავისუფლეს.[5]

1817 წელს მიხეილ ბარათაშვილმა ყაზანსა და სიმბირსკში დააარსა მასონთა ლოჟა – სალონი, რომელსაც „სათნოების გასაღები" უწოდა და თვითონვე ხელმძღვანელობდა. სალონის მიზანი იყო ქრისტიანულ სათნოებათა მკაცრად დაცვა, საღვთო სჯულის პატივისცემა. წევრებს უნდა შესძლებოდათ წყენათა დიდსულოვნად მიტევება, შენდობა, პატიება; მკაცრად იკრძალებოდა შეკრებაზე კანონებისა და სახელმწიფო პოლიტიკის განსჯა. ცნობილია, რომ მ. ბარათაშვილის დაარსებული „სათნოების გასაღები" პოპულარული იყო მთელ გუბერნიაში და მასში გაწევრიანებას ყველა ცდილობდა.[6]

1835 წელს მ. ბარათაშვილი სამსახურს იწყებს შინაგან საქმეთა სამინისტროში. 1838 წელს მას „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის" წოდება მიენიჭა, ხოლო 1839 წელს – ფინანსთა სამინისტროში გადაიყვანეს სამუშაოდ.[7] სწორედ ამ სამინისტროს დავალებით, იმავე წელს იგი საქართველოში სამსახურში განწესდა. მიხეილი დაინიშნა „ამიერკავკასიის ოლქის საბაჟოს უფროსად" და ამ თანამდებობაზე სამოქალაქო გენერლის ჩინით არასრული სამი წელიწადი იმსახურა. ცნობილია, რომ ის თბილისში შადინოვის სახლში ცხოვრობდა და ფინანსთა სამინისტროს საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტი მას თვიურ ჯამაგირს[8] – 25 მანეთს უხდიდა.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე მ. ბარათაშვილმა აღადგინა კავშირი თავის ნათესავ ბარათაშვილებთან. როგორც ჩანს, ცნობილი ქართველი პოეტი, ნიკოლოზ ბარათაშვილი მიხეილს გარკვეულ დახმარებასაც უწევდა მომავალი ნაშრომის შექმნაში – საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევის მიმართულებით. ამას მოწმობს ნ. ბარათაშვილის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ნ. ბარათაშვილმა შეუქმნა თავის ნათესავს „ისტორიული საქართველოს შესახებ ცნობების მარაგი".[9] ცნობილი არ არის, თავად მ. ბარათაშვილი რამდენად სრულყოფილად ფლობდა ქართულ ენას.[10]

საქართველოში ყოფნისას, მცირე ხნის განმავლობაში მ. ბარათაშვილმა მოახერხა ქვეყანაში მიმოფანტული ქართული ფულის უნიკალური ნიმუშების თავმოყრა, რაც საფუძვლად დაედო არა მარტო მის კაპიტალურ ნაშრომს, არამედ მომავალში სხვა მეცნიერთა გამოკვლევებსაც. ამ თვალსაზრისით მისი დამსახურება ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების წინაშე ფასდაუდებელია.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში მ. ბარათაშვილმა არასრული სამი წელი დაჰყო. 1842 წლის 20 ნოემბერს, ნიკოლოზ I-ის უზენაესი განკარგულებით, ამიერკავკასიის საბაჟო ოლქის უფროსის თანამდებობა გაუქმდა, რასაც მოჰყვა მ. ბარათაშვილის გათავისუფლება, შემდეგ კი იგი პენსიაზე გავიდა.[11] საქართველოსთან სამუდამო განშორების შემდეგ მან რუსულ, ფრანგულ და ქართულ ენებზე გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი – «Нумизматические факты Грузинского царства» –„ნუმიზმატიკური ფაქტები, ანუ ძველნი ფული სამეფოსა საქართველოსი".

ნაშრომის დასაწყისში ავტორი მიმართავს რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პავლეს ძეს: „უღრმესი მოწიწების გრძნობით ვიღებ თავზე გამბედაობას, უძველესი ქართული მონეტებიდან, მეტალიდან სურათების გადმოღების ჩემს მიერ გამოგონებული წესის

5 ა. აფაქიძე, „ბარათაშვილი (ბარათაევი) მიხეილ პეტრეს ძე". ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (თბილისი, 1977), ტ. 2, 199; გოზალიშვილი, მიხეილ ბარათაშვილი, 31.

6 Князь В. Баюшев, "Князь М. П. Баратаев". Сборник историко-статистических материалов по Симбирской губернии (Симбирск, 1868), 223-226.

7 იქვე, 229-230.

8 გ. ლორთქიფანიძე, გ. გერაძე, „მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევი (ბარათაშვილი) ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებელი". ნარკვევები ქართული ნუმიზმატიკის ისტორიიდან (თბილისი, 2007), 3.

9 იქვე, 5.

10 ქართული ნაწილის მომზადებაში მიხეილ ბარათაშვილს დავით ჩუბინაშვილი ეხმარებოდა.

11 საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 378, აღწ. 1, ფ. 149.

მიხედვით დამზადებული ნუმიზმატიკური ალბომის ბოძებისა."[12] იმპერატორისთვის ნაშრომის მიძღვნა საკმაოდ გავრცელებული იყო XIX საუკუნეში, მაგრამ ამ შემთხვევაში ავტორის ეს ნაბიჯი დიპლომატიური წინდახედულობითაც იყო განპირობებული. მეცნიერმა კარგად იცოდა, რომ საფრთხის შემცველი იყო ცარიზმის ეპოქაში უძველეს ქართულ მონეტებზე ნაშრომის გამოცემა, რომელიც მსოფლიოს ამცნობდა, რომ საქართველო რუსეთის იმპერიაში შემავალი გუბერნია კი არ იყო, არამედ ის უძველესი დროიდან სახელმწიფოებრიობის მთავარ ატრიბუტს, ფულს ჭრიდა. წიგნის გამოქვეყნებას კიდევ ერთი საშიშროება ახლდა მეფის რუსეთისთვის: ნაშრომი მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა ეროვნულ თვითშეგნებასა და ქართველი საზოგადოების გამოფხიზლებაში. ამიტომაც, რომ არა ნიკოლოზ I-დმი ერთგვარი რევერანსი მონოგრაფიის დასაწყისში, სავარაუდოდ, ნაშრომს შესაძლოა, დღის სინათლე ვერც ეხილა. ჩანაფიქრმა გაამართლა, გამოვიდა წიგნი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართული მონეტების ფართომასშტაბურ კვლევას.

ნაშრომი ჭეშმარიტად პატრიოტულ ხასიათს ატარებს როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც. მეცნიერი შემთხვევით არ იყენებს სატიტულო გვერდზე ქართული ანბანის სამ სახეობას: ასომთავრულს, ნუსხურსა და მხედრულს. საფიქრებელია, რომ ამით მას სურდა საერთაშორისო დონეზე ეჩვენებინა თავისი ქვეყნის მაღალი კულტურა.

ნაშრომის დასაწყისში მ. ბარათაშვილი სიყვარულით იხსენებს საქართველოში სტუმრობას: „თქვენს საუცხოვო და დიდად მშვენიერ ქვეყანაში ჩემმა მცირე ხნით ყოფნამ გულში ღრმად ჩამინერგა გრძნობა უწრფელესი სიყვარულისა და მადლობისა. ვინმე მწირი და ყარიბი, რომელიც ვფიქრობდი აქ ვნახავდი მხოლოდ ჯვრებს ჩემს წინაპართა საფლავებისას, – ვიპოვე თქვენი ტრფიალებით აღსავსე და სიყვარულით გამთბარი გული..."[13]

ყურადღებას იქცევს შესავალი ტექსტის ის ნაწილი, რომელშიც რამდენიმე ფრაზით,მეცნიერულად ხსნის ნუმიზმატიკის არსსა და მონეტის, როგორც საისტორიო წყაროს, უპირატესობას: „ფულნი ესე არიან მეტალლისა, გამძლენი უმეტეს ხელწერილთა და დამამტკიცებელნი სხვათაცა ჭეშმარიტებათა“.

მ. ბარათაშვილს გააზრებული აქვს, რომ ნაშრომი, რომელიც მან შექმნა, საქართველოსთვის სიახლეა, მაგრამ შორეულ პერსპექტივაში ის საფუძველი გახდება ამ დარგის განვითარების: „ჩემს თავს ბედნიერად ვთვლი, თუ ჩემი პირველი ნაშრომი თქვენს მშვენიერ მამულში გააღვიძებს სურვილს ამგვარი მუშაობის განგრძობისას, ჩემგან დაწყებული საქმის შესავსებად და გასაღრმავებლად... მაშინ ეს ჩემი ნაშრომი დარჩება, როგორც მხოლოდ თქვენი სახსოვარი ჩემს გულში და მეც იმედი მექნება, გამიხსენებთ თქვენდამი პატივისცემის გრძნობით აღსავსე წინაპარს“.[14]

მ. ბარათაშვილის ნაშრომის გამოსვლას ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში. წიგნის გამოცემიდან ორი წლის შემდეგ, სანკტ-პეტერბურგში აკადემიკოსმა მარი ბროსემ გამოაქვეყნა რეცენზია სათაურით – „გამოხმაურება შრომაზე „ნუმიზმატიკური ფაქტები საქართველოს სამეფოსი“ და ქართული ნუმიზმატიკის მიმოხილვა“.[15]

მ. ბართაშვილი გახდა რუსული და უცხოური სამეცნიერო საზოგადოებების წევრი. პარიზის მეცნიერებათა აკადემიამ ის თავის წევრად მიიღო ნუმიზმატიკური მოღვაწეობისა და მონეტების პირების აღების ხერხის გამოგონებისთვის, რაც გულისხმობდა ძველი მონეტებიდან კილიტის მეშვეობით ანაბეჭდის აღებას და ზუსტი პირების დამზადებას.[16]

---

12 M. Баратаев, Нумизматические факты Грузинского царства (Санкт-Петербург, 1844).

13 იქვე, III-VII.

14 იქვე.

15 M. Brosset, Rapport sur l'ouvrage intitulé, «Нумизматические факты Грузинского царства» et Revue de numismatique géorgienne (Санкт-Петербург, 1847), 66-67.

16 ა. აფაქიძე, ბარათაშვილი (ბარათაევი) მიხეილ პეტრეს ძე, 199.

მ. ბარათაშვილი იყო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის, პარიზის, ბერლინისა და კოპენჰაგენის სამეცნიერო აკადემიათა საპატიო წევრი, აგრეთვე ნამდვილი წევრი ჩრდილოეთის ანტიკვარიატის დანიის საზოგადოებისა და რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი. საქართველოში ყოფნის დროს, 1840 წლის 27 ნოემბერს, იგი აირჩიეს ამიერკავკასიის სტატისტიკური კომიტეტის წევრ-კორესპონდენტად.

მიხეილ ბარათაშვილმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები თავის მამულში, სიმბირსკში გაატარა და ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1856 წლის 31 ივლისს, 72 წლის ასაკში. იგი დაკრძალულია ქ. სიმბირსკის მონასტრის სასაფლაოზე. მისი საფლავი ერთ ხანს უცნობი იყო, რადგან იმ ადგილას შემდეგ პარკი გააშენეს და ძველი საფლავების კვალიც წაშალეს. 1994-1997 წლებში ამ სასაფლაოზე დაკრძალული ადამიანის საძვლეები მოიძიეს და აღადგინეს. დღეისთვის მ. ბარათაშვილის საფლავი ცნობილია. იგი დაკრძალულია სიმბრისკის წმინდა საფარის მამათა მონასტერში.

მიხეილ ბარათაშვილის ფუნდამენტური ნაშრომის ნუმიზმატიკური ბაზა მეცნიერის მიერ საქართველოში, და შესაძლოა რუსეთშიც, შეგროვებული მონეტების პირადი კოლექცია იყო.

მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა კოლექციის დაბინავება თბილისში არსებულ კავკასიის მუზეუმში გადაწყვიტეს. საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივში გვხვდება ცნობა, რომ ამ კოლექციის შეძენაზე იმჟამინდელმა დირექციამ უარი თქვა. მიზეზი ივან ბართოლომეის მიერ დაწერილი უარყოფითი დასკვნა გახდა. ამის გამო, 1871 წელს მეცნიერის შვილები რუსეთის სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო ერმიტაჟს დაუკავშირდნენ. იქ კი მ. ბროსემაც, რადგან ივან ბართოლომეისთან დაპირისპირებული იყო, უარყოფითი დასკვნა დაწერა[17] და მ. ბარათაშვილის კოლექციამ ვერც რუსეთში დაიდო ბინა.

კოლექცია მალევე შეიძინეს გერმანიაში და 1874 წლიდან ბერლინის ბოდეს მუზეუმის მიუნცკაბინეტში ინახება.

ქართული მონეტების უნიკალური კოლექციის შესახებ ბერლინის მიუნცკაბინეტის დავთარში ვკითხულობთ ჩანაწერს, რომ 1864 წლის 6 ნოემბერს შევიდა თავად მიხეილ ბარათაევის ქართული მონეტების ის კოლექცია, რომელიც მეცნიერს აღწერილი აქვს თავის 1844 წელს გამოცემულ ნაშრომში. ასევე აღნიშნულია, რომ მონეტები მოთავსებული იყო მუყაოს ორ საიმედოდ შეკრულ ყუთში. კოლექცია მუზეუმში მიიტანა ვინმე ვ. მარტინსონმა ყაზანიდან.[18] სავარაუდოდ, ეს პიროვნება იყო შუამავალი მ. ბარათაევის მემკვიდრეებსა და ამ მუზეუმს შორის.

ჩანაწერში მონეტების რაოდენობა დასახელებული არ არის. მოგვიანებით, 1877 წელს მიუნცკაბინეტმა გამოსცა ნაშრომი მუზეუმის კოლექციების შესახებ.[19]

ავტორები მ. ბარათაშვილის სამონეტო ჯგუფზე წერენ, რომ მიუნცკაბინეტის აღმოსავლეთის კოლექციებში დაცულია თავად მიხეილ ბარათაევის ქართული მონეტების კოლექცია, რომელიც მეცნიერმა თვითონვე აღწერა თავის ნაშრომში, რაოდენობა – 350 ცალი. აქვე აღნიშნავენ, რომ ეს არის ამ ქვეყნის (საქართველოს) მონეტების ყველაზე მრავალრიცხოვანი კოლექცია, ხოლო მონეტებს შორის ყველაზე ადრინდელი და ღირსშესანიშნავია სასანური ტიპის მონეტები ქართული წარწერებით.[20]

მ. ბარათაშვილს წიგნში 157 მონეტა აქვს აღწერილი, ბერლინში კი 350 მონეტაა დაცული. როგორც ჩანს, 1844 წლის შემდეგ მან კიდევ გააგრძელა მონეტების შეგროვება. 1910 წელს გამოვიდა ევგენი პახომოვის წიგნი „ქართული მონეტები"[21], რომელშიც აღწერილი იყო რამდენიმე ახალი ეგზემპლარი ბერლინის მიუნცკაბინეტში დაცული ბარათაშვილის

17 И. Г. Спасский, Нумизматика в Эрмитаже. Нумизматика и эпиграфика. 8 (Москва, 1970), 176.

18 ეს პირი მოიხსენიება დავთარში.

19 J. Friedlander, A. von Sallet, Das Königliche Münzkabinett (Berlin. 1877).

20 იქვე, 46.

21 Е. Пахомов, Монеты Грузии (Тбилиси,1910).

კოლექციიდან.[22] გაჩნდა ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლოა, ბერლინის მუზეუმში დაცულ კოლექციაში კიდევ იყო მნიშვნელოვანი მონეტები, რომელთა შეგროვება 1844 წლის (წიგნის გამოცემის) შემდეგ შეძლო მ. ბარათაშვილმა და ამიტომ ეს ვერ მოხვდა მის წიგნში. გარდა ამისა, ეჭვი გააძაფრა ცნობამ იმის შესახებ, რომ 1898 წელს ქ. სიმბირსკის დაარსების 250 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილ 500-მდე ისტორიული მნიშვნელობის ნივთებში გამოფენილი იყო სიმბირსკის თავადაზნაურთა ყოფილი წინამძღოლის, მიხეილ ბარათაშვილის სამტომიანი ხელნაწერი ნაშრომი: „ლითონური ფაქტები საქართველოს ისტორიისათვის", მდიდარი ნუმიზმატიკური კოლექციით.[23] ხელნაწერი სხვა ნივთებთან ერთად წარმოუდგენია მეცნიერის უკანასკნელ შთამომავალს, შვილიშვილს – სერგეი მიხეილის ძე ბარათაშვილს (1862-1930).[24] ცხადია, აღნიშნული სამტომიანი ხელნაწერი ნაშრომი, თანადროული ნახატებითა და ილუსტრაციებით, წარმოადგენს მიხეილ ბარათაშვილის ნაბეჭდი წიგნის განსხვავებულ, უფრო სრულ, შევსებულ ვარიანტს, თანდართული მდიდარი ნუმიზმატიკური კოლექციით. სამწუხაროდ, ეს ნაშრომი დღესაც მიუკვლეველია და დაკარგულად ითვლება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ წიგნში შესული იყო არა მხოლოდ ის მონეტები, რომლებიც მეცნიერმა 1844 წელს გამოცემულ ფუნდამენტურ ნაშრომში აღწერა, არამედ მის გარდაცვალებამდე შეგროვებულიც.

მიხეილ ბარათაშვილის კოლექციის მიმართ ქართველ მეცნიერთა ინტერესი ყოველთვის დიდი იყო. თითქმის საუკუნე-ნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში ვერც ერთმა ქართველმა მეცნიერმა პირადად ვერ ნახა ბერლინის მუზეუმში დაცული ეს ნუმიზმატიკური საგანძური, რის გამოც ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დაგროვდა. ცნობილი ქართველი მეცნიერების ნაშრომებში გაჩნდა მოსაზრება, რომ ამ კოლექციის ზუსტი სამყოფელი უცნობია.[25]

კოლექციის ნახვისა და შესწავლის მიზნით, 2012 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი მაია პატარიძე გერმანიის პრუსიული მემკვიდრეობის ფონდის საერთაშორისო სტიპენდიის ფარგლებში გაემგზავრა ბერლინის ბოდეს მუზეუმის მიუნცკაბინეტში. მეცნიერის მთავარი ამოცანა იყო მიხეილ ბარათაშვილის კოლექციის აღწერა და შესწავლა.

ბერლინის მიუნცკაბინეტის დირექტორი ამ დროისათვის იყო ბერნ კლუგე. მაია პატარიძესთან სამეცნიერო საქმიანობაში ერთად აქტიურად ჩაერთნენ ბერნჰარდ ვაისერი და კარსტენ დამენი.

კოლექციაზე მუშაობისას გამოიკვეთა ჯგუფი ეგზემპლარებისა, რომლებიც არაერთხელ მოხვედრილა სხვადასხვა პუბლიკაციაში და მონეტების ნაწილი, რომლებიც სამეცნიერო საზოგადოებისთვის დღემდე არ იყო ცნობილი. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ამ უნიკალური კოლექციის ზუსტი ფოტოპირებიც არ არსებობდა, რადგან მ. ბარათაშვილის წიგნში მონეტები ლითოგრაფიული ჩანახატის სახით არის შესული, რაც მათ მთლიანობაში აღქმას უშლიდა ხელს. გარდა ამისა, მცირედი ხარვეზები შეიმჩნევა ატრიბუციის თვალსაზრისითაც. მონეტების ზუსტი განსაზღვრა რთული იყო, რაც სავსებით ლოგიკურიც ჩანდა, რადგან არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო ნუმიზმატიკის გარიჟრაჟზე[26] არ არსებობდა სპეციალური კატალოგები. რასაკვირველია, ეს ზღვაში წვეთია იმ ღვაწლთან შედარებით, რაც მ. ბარათაშვილს ქართული მეცნიერების წინაშე მიუძღვის.

ალსანიშნავია, რომ ქართულის გარდა მან სამ-

---

22 ნაშრომში მონეტების ფოტოები ამ წარმოდგენილია თაბაშირის ანაბეჭდებიდან შესრულებული ფოტოპირით.

23 Каталог исторической юбилейной выставки в память 250-летия города Симбирска (Симбирск, 1889), 16.

24 იქვე.

25 ლორთქიფანიძე, გერაძე, მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევი (ბარათაშვილი) ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებელი, 7.

26 აღსანიშნავია, რომ ნუმიზმატიკური ნაშრომი, რომელიც გამოსცა მსოფლიო ნუმიზმატიკის მამად აღიარებულმა იოსეფ ილარი ფონ ეკელმა, მხოლოდ 50 წლით უსწრებს მიხეილ ბარათაშვილის ნაშრომს.

შობლოში ყოფნისას შეაგროვა ბერძნულ-რომაული, არაბული, ოსმალური, ირანული და სომხური მონეტებიც. მათი დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, საქართველოში უნდა ყოფილიყო აღმოჩენილი. ისინი არსად არ არის გამოქვეყნებული და ამდენად, მათ შესახებ არაფერი ვიცით.[27]

2012 წელს, სტიპენდიის ფარგლებში სრულად აღირიცხა ბერლინის მიუნცკაბინეტში დაცული მიხეილ ბარათაშვილის კოლექცია. ნაწილი მონეტებისა განისაზღვრა, თუმცა მათი გამოცემა მაშინ ვერ მოხერხდა.

ბერლინის მიუნცკაბინეტში, მიხეილ ბარათაშვილის უმდიდრესი კოლექციის გარდა, დაცულია უმნიშვნელოვანესი ნუმიზმატიკური ძეგლები, რომლებიც ქართული და მსოფლიო ნუმიზმატიკისთვის განსაკუთრებულად ღირებულია. მათ შესახებ მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოება ნაწილობრივ ინფორმირებულია, მაგრამ ბევრი საკითხი ჯერ კიდევ არ იყო დაზუსტებელი. ამიტომ მიზნად დავისახეთ მათი სრულყოფილად აღრიცხვა, შესწავლა და მაღალი რეზოლუციის ფოტოპირების დართვით სამეცნიერო ბრუნვაში გაშვება.

2019 წელს შ. რუსთაველის ფონდის მიერ გამოცხადებულ ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი კურატორი მაია პატარიძე. პროექტის სახელწოდება: „გერმანიაში (ბერლინის ბოდეს მუზეუმის მიუნცკაბინეტში) დაცული ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების შესწავლა: მონეტების მოძიება, აღწერა-ატრიბუცია, კორპუსის გამოცემა“.

პროექტის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ბერლინის მიუნცკაბინეტის ურთიერთთანამშრომლობით, ასევე საქართველოს შ. რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით, შესაძლებელი გახდა ბერლინში დაცული ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების სრულად თავმოყრა. გამზადდა წინამდებარე კორპუსი, რომელშიც შესულია როგორც ქართველ მეფე-მთავართა მიერ მოჭრილი მონეტები,[28] ასევე ის ნუმიზმატიკური ძეგლები, რომლებსაც ქართულ მონეტებს ვერ ვუწოდებთ, თუმცა მათი როლი ქართულ ნუმიზმატიკაში დიდია და მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ეს მონეტები არაერთხელ მოხვდა სამეცნიერო პუბლიკაციებში, თუმცა, იმის გამო, რომ მათი ზუსტი, მაღალი ხარისხის ფოტოპირები ხელმისაწვდომი არ იყო, არასწორი აღწერილობა ბევრი მცდარი მოსაზრების საფუძველი გამხდარა.

წინამდებარე ნაშრომში შესულია ბერლინის ბოდეს მუზეუმში დაცული ყველა ქართული ნუმიზმატიკური ძეგლი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ძვ. წ. V საუკუნიდან 1834 წლამდე. თითოეული ილუსტრირებული მონეტა წარმოდგენილია მოკლე აღწერილობით, სამონეტო ლითონის, მონეტის წონის (გრამებში), დიამეტრის (მილიმეტრებში), მოჭრის თარიღის (ქრისტიანული წელთაღრიცხვით ან ჰიჯრით) და იმ ხელისუფლის აღნიშვნით, ვისი სახელითაც არის მოჭრილი მონეტა. ყოველთვის, როცა ეს შესაძლებელია, მოცემულია მონეტის ნომინალის და მოჭრის ადგილის (ზარაფხანის) დასახელება. განსაკუთრებულ შემთხვევებში ზოგიერთ მონეტასთან მიწერილია მცირე კომენტარიც მის წარმომავლობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ესა თუ ის მონეტა მიხეილ ბარათაშვილის კოლექციიდანაა ან სხვა გზით არის მოხვედრილი ბერლინის მიუნცკაბინეტში.

საილუსტრაციო მასალა შერჩეულია გერმანიის მიუნცკაბინეტის ფონდში დაცული სამონეტო კოლექციებიდან.

27 И. Г. Спасский, Нумизматика в Эрмитаже. Нумизматика и эпиграфика. 8. 176.

28 ჩვენი აზრით, მ. ბარათაშვილი ქართულ მონეტებად სავსებით სამართლიანად მიიჩნევდა იმ მონეტებს, რომლებიც ქართველი ემიტენტების მიერ იყო მოჭრილი.

A fundamental research titled "Нумизматические факты Грузинского царства" - „ნუმიზმატიკური ფაქტები, ანუ ძველნი ფული სამეფოსა საქართველოსი" (Numismatic Artefacts or Ancient Money of the Kingdom of Georgia) was published in three languages – Russian, French, and Georgian in 1844 in Saint-Petersburg. The author of this monograph was Prince Michael Baratashvili (Barataev) (1784-1856), a Georgian nobleman living in Russia. The monograph represented the first comprehensive study of Georgian coins, and Michael Baratashvili (Barataev) has been rightfully credited with establishing Georgian numismatics as a legitimate academic discipline in its own right.

Michael Baratashvili was born in the city of Simbirsk, Russia, into the family of the governor of this province, Lieutenant-General Peter Baratashvili. Michael's grandfather – Melchizedek (Michael) Baratashvili, had arrived in Russia as a retinue of Georgian King Vakhtang VI (1675-1737). After Vakhtang VI had died in 1737, Russian authorities peremptorily commanded Peter Baratashvili either to enter the service of the Russian crown or to return to Georgia. Melchizedek never went back to his homeland, but instead purchased lands and served in Simbirsk residing there until his death. Later, Simbirsk was named "Barataevka" accordingly.[1] His son, Peter, received an education fit for a man of his status, and later served as a state official, enjoying great respect and exercising influence. Peter reached the military rank of Lieutenant-General and was appointed governor of Simbirsk for the period of 1780 to 1789. He purchased 600 dessiatina (approx. 14,000 acres) of "Konnaia Sloboda" 12 kilometers away from Simbirsk. Peter settled peasants there and thus founded the new village of Barataevka.[2]

Governor Peter Baratashvili welcomed a baby boy on January 25, 1784. He and his wife named the child Michael, who would later become a remarkable individual in many ways. During his military career, Miachel Baratshvili served in the wars against Napoleon Bonaparte (1806-1809, 1812-1814)[3] and was decorated for demonstrating courage and bravery in fighting.[4] From 1820 to 1835 he governed the district of Simbirsk and exercised the duties of a marshal of the nobility. It is known that Michael sympathised with the Decembrists and was arrested in 1826 following the failed Decembrist revolt. Fortunately for him, no evidence of any involvement was proven (Baratashvili had wisely burned all his correspondence with the Decembrists), and he was released from captivity.[5]

Michael Baratashvili had earlier founded a masonic lodge – a salon named "Key to Virtues"- under his personal leadership in 1817 in Kazan and Simbirsk. The salon aimed at the promotion of Christian virtues and their stringent adherence. The members were required to demonstrate magnanimous forgiveness and compassion. It was strictly prohibited to discuss laws or politics during the meetings. Apparently, "Key to Virtues" became so popular in the province that there were many applications to become a member.[6]

We see Michael Baratashvili beginning his service in the Ministry of Internal Affairs in 1835. In 1838,

1 Currently Ulianovsk.

2 შ. გოზალიშვილი, მიხეილ ბარათაშვილი (თბილისი, 1987), (Sh. Gozalishvili, Mikheil Baratashvili (Tbilisi, 1987)10); Издание Симбирской губернской Ученой Архивной Комиссии (Симбирск, 1903), 251-252 (Periodical of Simbirsk Academic Archival Comission (Simbirsk, 1903).

3 Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон, Энциклопедический словарь под редакцией проф. И. Андреевского, т. III, (Санкт-Петербург, 1894), 38 (The Brockhaus and Efron Encyclopaedic Dictionary, vol. III (Saint-Petersburg, 1894);

4 გოზალიშვილი, მიხეილ ბარათაშვილი,14. Sh. Gozalishvili, Mikheil Baratashvili, 14.

5 ა. აფაქიძე, „ბარათაშვილი (ბარათაევი) მიხეილ პეტრეს ძე", ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, (თბილისი, 1977), ტ. 2, 199 (A. Apakidze, "Baratashvili (Barataev) Mikheil," Georgian Soviet Encyclopedia, vol. 2 (Tbilisi, 1977)); გოზალიშვილი, მიხეილ ბარათაშვილი, 31. Sh. Gozalishvili, Mikheil Baratashvili, 31.

6 Князь В. Баюшев, «Князь М. П. Баратаев», Сборник историко-статистических материалов по Симбирской губернии, (Симбирск, 1868), 223-226. (Prince V. Baiushev "Prince M. P. Barataev", Collection of Historical-Statistical Materials on Simbirsk Province (Simbirsk, 1868).

he was appointed State Councillor and a year later, he was transferred to a position at the Ministry of Finance.[7]

Michael Baratashvili was commissioned by the ministry of finances to Georgia as the head of customs for the Transcaucasian region and served in this position for almost three years. It is known that he resided in the so-called Shadinov mansion rented by the department of external commerce of the ministry of finances for a rent of 25 rubles per month.

Michael Baratashvili recovered his ties with his relatives and family as soon as he arrived in Georgia. It seems that the well-known Georgian poet Nickoloz Baratashvili provided Michael with certain aid for his future book in terms of the study of Georgian history.[8] As Nicholoz Baratashvili mentions in a letter to Grigol Orbeliani, he has given his relative from Russia material on the historical past of Georgia.[9] We are not sure, though, if Michael has mastered the Georgian language at all or how fluent he was.[10]

During the short period of his life in Georgia, Michael managed to collect a unique collection of ancient Georgian coins that would become the basis of both his own monograph and later studies by various scholars within the country. Baratashvili's contribution to Georgian numismatics in this respect, however, cannot be overstated. When the position of head of customs for the Transcaucasian region was abolished by a supreme order of Tsar Alexander II on November 20, 1842, Baratashvili retired.[11]

After leaving Georgia for good, Baratashvili published his fundamental work «Нумизматические факты Грузинского царства» - „ნუმიზმატიკური ფაქტები, ანუ ძველნი ფული სამეფოსა საქართველოსი“ (Numismatic Artefacts or Ancient Money of the Kingdom of Georgia) in Russian, French and Georgian. The author addresses Emperor Nicholas I in Russian: "with a sense of profound respect, I take courage to present you with a numismatic album of pictures of ancient Georgian coins created with a method of copying them from metal, designed by myself."[12] It was a widely used practise in the 19th century to dedicate a work to the monarch, but in this specific case, presenting the tsar with an album of Georgian coins was both a risky enterprise and a diplomatic challenge. Baratashvili knew too well that to publish a book containing the message that Georgia – a province of the Russian empire – had been a sovereign state with a long history documented by these coins, was a dangerous undertaking. There was even more to it: the monograph could serve as a symbol of national identity and inspire the future awakening of nationalist sentiments. Perhaps, an hommage paid to the emperor from the very beginning, could facilitate the publication. Fortunately, this strategy paid off and the monograph was printed, which would establish Georgian numismatics as a discipline and promoted further research.

Both the content and design of the book formulate the deep patriotic feelings of its author. It is no accident that the title page features all three types of the Georgian script: Asomtavruli, Nuskhuri and Mkhedruli[13] in order to demonstrate to the world the high culture of historical Georgia.

Baratashvili starts the book with delightful memories of his visit to Georgia: "My short visit to your marvellous country fostered a feeling of sincere

7 Князь В. Баюшев, Князь М. П. Баратаев, 229-230 (Prince V. Baiushev, Prince M. P. Barataev, 229-230).

8 გ. ლორთქიფანიძე, გ. გერაძე, „მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევი (ბარათაშვილი) ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებელი,“ 5. (G. Lortkipanidze, G. Geradze, "Mikheil Barataev (Baratashvili) – founder of Georgian numismatics" – Essays on History of Georgian Numismatics (Tbilisi, 2007).

9 Ibid.

10 D. Chubinashvili helped him with the Georgian part.

11 საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 378, აღწ. 1, ფ. 149 (National Archives of Georgia, funds N378, rec. 1, p. 149).

12 М. Баратаев, Нумизматические факты Грузинского царства (Санкт-Петербург, 1844). (Numismatic Artefacts or Ancient Money of the Kingdom of Georgia (Saint-Petersburg, 1844).

13 Asomtavruli, Nuskhuri and Mkhedruli.

love and gratitude in my soul. As a lonely wanderer banished from my homeland, I expected to find here only tombstones of my ancestors, but instead, I encountered your heart filled with yearning and love."[14]

It is noteworthy, how the scholar encapsulates in a few sentences the essence of numismatics and the priority of coins as historical documents: "these metallic coins are more durable than manuscripts and attest to many other realities."

Baratashvili is fully aware that his monograph is groundbreaking and will become a foundation for future development of this discipline – "I will consider myself a fortunate man if my first study will entail an aspiration for your beautiful country to continue the research in order to make it deeper and more comprehensive…. If this will not be the case, let my work remain as a token of your affection in my heart, and I hope you will remember me as your ancestor filled with profound respect towards you all."[15]

Publication of Baratashvili's work in 1844 was met with excitement by the international scholarly community. Two years later, Marie Brosset, the renowned orientalist and member of the Imperial Academy of Sciences of Russia, published in Saint-Petersburg a review of the monograph titled "Comments on the scholarly work "Numismatic Artefactss or Ancient Money of the Kingdom of Georgia", including a general review of Georgian numismatics.[16]

M. Baratashvili became a member of Russian and foreign scientific societies. He was elected a member of the French Academy of Sciences for his numismatic studies and his invention of a method for creating detailed copies of coin-dies by application of aluminum foil.[17]

M. Baratashvili was made an honorary member of the Academy of Arts of Saint-Petersburg, the Academy of Sciences of Paris, Berlin, and Copenhagen, a full member of the Royal Nordic Society of Antiquaries, and one of the founders of the Imperial Russian Archaeological Society. While staying in Georgia, he was elected an associate member of the Transcaucasian Statistical Committee on November 27, 1840.

The scholar spent the last years of his life at his own estate in Simbirsk. Michael Baratshvili passed away at the age of 72 after a serious illness on July 31, 1856, and was buried in the cemetery of the local monastery. Between 1994 and 1997, the graves of renowned figures were discovered and restored within this cemetery. Presently, the grave of M. Baratashvili is identified; he rests in the Simbirsk (ulianovsk) Monastery. The numismatic data presented in Baratashvili's fundamental study was based on his private collection of coins collected in Georgia and perhaps Russia.

After his death, the scholar's heirs decided to hand over his numismatic collection to the Caucasian Museum in Tbilisi. A note preserved in the archives of the National Museum of Georgia indicates that the museum administration declined the offer and refused to pay for coins due to the negative review given by J. Bartolomei to the collection. In 1871, Baratashvili's family offered it to the Imperial Hermitage Museum in Saint-Petersburg. Again, the collection was not purchased, and the coins were destined to leave Russia.[18]

The collection was now offered to the Münzkabinett of the Royal Museums in Berlin and finally accessioned there into the collection in 1874. It has been kept as part of the cabinet's holdings ever since and is now housed in the Münzkabinett's vault at the Bode-Museum in the centre of Germany's capital.

---

14 М. Баратаев, Нумизматические факты Грузинского царства, III-VII (Numismatic Artifacts of the Kingdom of Georgia (Saint-Petersburg, 1844) III-VII.

15 Ibid.

16 M. Brosset, Rapport sur l'ouvrage intitulé, "Нумизматические факты Грузинского царства" et Revue de numismatique géorgienne (Санкт-Петербург, 1847), 66-67.

17 ა. აფაქიძე, „ბარათაშვილი (ბარათაევი) მიხეილ პეტრეს ძე", 199 (A. Apakidze, "Baratashvili (Barataev) Mikheil", 199).

18 И. Г. Спасский, Нумизматика в Эрмитаже, Нумизматика и эпиграфика, (Москва, 1970), 176. (I. Spassky, "Numismatics in the Hermitage", Numismatics and Epigraphy (Moscow, 1970), 176).

The accession journal entry, written by the Münzkabinett's director Julius Friedländer (1813 – 1884) himself, records the acquisition of the Prince Michael Baratashvili collection of Georgian coins on November 6, 1874.[19] It also indicates that the coins were accommodated in two solid cardboard boxes. The collection was delivered to the museum by a Mr. W. Martinson from Kazan. Apparently, this gentleman was a liaison for Baratashvilis' heirs to negotiate the sale.

The entry does not specify the number of coins. In 1877, when the Münzkabinett published the second edition of its history, this recent acquisition of Georgian coins was presented on page 46.[20] The authors indicate that the Oriental collection includes the collection of 350 coins that belonged to Prince Michael Baratashvili and that formed the basis of his own monograph back in 1844. In addition, they write that it is the largest collection of Georgian coins, including the earliest and most important specimens of the Sassanian type bearing Georgian inscriptions.[21]

M. Baratashvili's book actually describes 157 coins, and in 1874, some 350 coins were accessed in Berlin. It can be assumed that he did continue collecting coins after 1844, more than doubling his collection by the time of his death. In 1910, Evgeni Pakhomov published his work "Georgian coins"[22] which contained a containing description of some new coin types from Baratashvili's collection in the Münzkabinett.[23]

It can be assumed that the Berlin collection does contain more coins that were purchased by Baratashvili following the publication of his monograph in 1844, and were hence not included in his catalogue. And in 1898, during the celebration dedicated to the 250th anniversary of the foundation of Simbirsk, an exposition was organized that featured three volumes of manuscripts by the Prince Michael Baratashvili. They are titled "Metal artefacts for the History of Georgia" and were accompanied by a rich numismatic collection.[24] The manuscript, along with other artefacts had been presented by a grandchild of the last descendant of the scholar, Sergei Baratashvili (1826-1930). Needless to say, the above three volumes with pictures and illustrations represent an expanded, richer version of the monograph published by Baratashvili together with a collection he managed to enrich after 1844. Unfortunately, the manuscript was subsequently lost.

Despite lively interest in Michael Baratashvili's numismatic collection, not a single Georgian numismatist had the opportunity to examine the coins for the following century and a half. It had even been suggested that the precise location of this collection was unknown.[25]

In 2012, a senior researcher of the Georgian National Museum, Maia Pataridze, was able to visit the Münzkabinett and finally study the Baratashvili collection as a recipient of an international scholarship from the Staatliche Museen zu Berlin. The main task was to study and catalogue the coins. Prof. Bernd Kluge, then the director of the Münzkabinett, and his colleagues, Prof. Bernhard Weisser and Dr. Karsten Dahmen provided invaluable assistance and participated in the project.

Within the collection itself, two groups of specimens can be identified: one group representing those coins that have been the subject of various

19 It reads in German: "Acc. 1874/513 am 6. November 1874. Von Herrn W. Martinson in Kasan. Die Sammlung Georgischer Münzen des Fürsten Michael Baratajef, von demselben 1844 in einem besonderen der Sammlung beiliegenden Werke beschrieben. Sie befindet sich in zwei Pappkästen, festgeordnet, und bleibt vorläufig in dieser Aufstellung".

20 J. Friedlander, A. von Sallet. Das Königliche Münzkabinett (Berlin 1877) 46.

21 Ibid.

22 Е. Пахомов, Монеты Грузии, (Тбилиси,1910) (E. Pakhomov, Coins of Georgia (Tbilisi, 1910)).

23 Illustrations in the book are photocopies made from coin impressions on plaster impressions of coins are.

24 Каталог исторической юбилейной выставки в память 250-летия города Симбирска (Симбирск, 1889), 16 (Catalogue of the exhibition dedicated to the 250th anniversary of foundation of the city of Simbirsk (Simbirsk, 1889), 16).

25 ლორთქიფანიძე, გერაძე, მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევი (ბარათაშვილი) ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებელი, 7 (G. Lortkipanidze, G. Geradze, Mikheil Barataev (Baratashvili) – founder of Georgian numismatics, 7).

publications and another group representing those coins that are still unknown to scholars. It should be noted, however, that for a very long time not even precise illustrations of the collection were available, since Baratashvili's monograph contained lithographs that made it extremely difficult to produce any copies. In addition, numismatic research has evolved since 1844, and some of his attributions are now out of date.[26] However, these deficiencies are only too minor compared to the contribution Baratshvili had made to Georgian numismatics. It should also be noted that during his stay in Georgia, Baratashvili did not only collect local Georgian coins, but Graeco-Roman, Arabic, Ottoman, Persian, and Armenian ones that were discovered on the territory of Georgia. They have never been published, though.[27]

All coins in the Baratashvili collection were recorded and many of them were classified in 2012, but unfortunately, it was not possible to properly publish them.

G. Dundua. Problem of the So-Called Georgian-Sassanian Coins and the Issues of Early Feudal

Georgian History. Matsne. Series of History, Archaeology, Ethnography and Art History. №1 (Tbilisi, 1976).

ი. გაგოშიძე, მ. ანთაძე, ც. ღვაბერიძე, მ. წოწელია, თ. ქუთელია, მ. შეროზია. ფული საქართველოში (თბილისი, 2000).

J. Gagoshidze, M. Antadze, T. Ghvaberidze, M. Tsotselia, T. Kutelia, M, Sherozia. Money in Georgia (Tbilisi, 2000)

გ. დუნდუა. თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი (თბილისი, 2006).

G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. I (Tbilisi, 2006).

M. Tsotselia. New Specimen of a Georgian-Sasanian Coin of Stephanos I. The Numismatic Chronicle. Vol. 169 (2009).

მ. სანაძე. ქართველთა ცხოვრება. წიგნი III. ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია. ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე (თბილისი, 2016).

M. Sanadze. Life of Georgians, Book III. Chronology of Kings and Patricians of Kartli (from Parnavaz to Ashot Kurapalat) (Tbilisi, 2016).

* მონეტების გრაფიკული გამოსახულებები გამოყენებულია მიხეილ ბარათაშვილის წიგნიდან.

The graphic depictions of the coins are sourced from Michael Baratashvili's publication.

თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი არაბული დირჰამი
ARABIAN DIRHAM STRUCK AT TBILISI MINT

VIII-IX საუკუნეებში საქართველოს ფულად ბაზარზე პრევალირებული ადგილი არაბულ ვერცხლის ფულს – დირჰამებს უჭირავს. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან დირჰამმა მსოფლიოში მყარი ვალუტის სახელი მოიხვეჭა და საერთაშორისო სავაჭრო მონეტად იქცა. VIII საუკუნის დასაწყისში თბილისის ზარაფხანამ პირველი არაბული დირჰამი გამოუშვა.
ბერლინის ნუმიზმატიკურ საგანძურში დაცულია თბილისის ზარაფხანაში ჰიჯრით 85 წელს (=704/05), ომაიანთა დინასტიის ხალიფა აბდ ალ-მალიქის (685-705) დროს მოჭრილი ვერცხლის მონეტა. ყველა სხვა ზარაფხანაში მოჭრილი არაბული დირჰამის მსგავსად, მონეტა ანონიმურია. წლების განმავლობაში ის ერთადერთ ეგზემპლარად ითვლებოდა, რის გამოც მისი მნიშვნელობა საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდიზაციის შესწავლის კუთხით ნაკლებად იყო აღიარებული. დღეისათვის ცნობილია ექვსი ეგზემპლარი: ეშმოლის მუზეუმის, კატარის ეროვნული მუზეუმის (თითო-თითო) და კერძო კოლექციაში დაცული სამი ეგზემპლარი.
მონეტა არ წარმოადგენს მინაბაძს, ის სრულყოფილი დირჰამია, რომლის ემიტენტი არაბული ადმინისტრაციაა (ან გარნიზონი?). შესაბამისად, მონეტა უტყუარი დასტურია იმისა, რომ ამ დროისათვის თბილისში პოლიტიკური სადავეები არაბების ხელშია. უფრო მეტიც, დღეისათვის მოპოვებული ამ სამონეტო ტიპის მონეტების რაოდენობა პირდაპირ მიანიშნებს, რომ ემისია არა მხოლოდ არაბთა ადმინისტრაციის პოლიტიკური ძალის პრეზენტაცია იყო, არამედ ეკონომიკური მიზნებითაც იყო განპირობებული.

Throughout the 8th-9th centuries, the Arabian silver coin-dirham occupied the predominant place in the money market of Georgia. This was because the Dirham gained recognition as a solid global currency and became an internationally traded coin. At the beginning of the 8th century, the first Dirhams were struck at the Tbilisi Mint.
A silver coin minted in AH 85 (=704/05) during the time of Umayyad Caliph Abd al-Malik (685-705) is presented in the Berlin Museum. Like all other dirhams of the Caliphate, it was also anonymous. For many years it was considered the only specimen, so its significance concerning the study of the periodization of Arab dominance in Georgia was little recognized. At present, six specimens are known. one is kept in the Ashmolean Museum and National Museum of Qatar and three other specimens are kept in a private collection.
The coin is not an imitation, it is an original dirham issued by the Arab administration in Tbilisi (or garrison?). Therefore, the coin is a trustworthy document that the Arabs took control over Tbilisi. Moreover, the number of coins of this type directly indicates that the emission was not only a presentation of the political power of the Arab administration, but was also determined by economic goals.

ანონიმური დირჰემი
(ომაიანთა ხალიფა ალ ვალიდ პირველის ზეობის დრო.) (15/714-705). ჰიჯ. 03/702=85.
18291637
2,783 გრ.   26,0/26,1 მმ.
ვერცხლი. თბილისი
Av. სამმაგ წერტილოვან რკალში ცენტრში არაბული ზედწერილი
لا اله الا / الله وحده / لا شريك له
არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა ერთისა, არ ჰყავს მას თანაზიარი
გარშემო: بسم الله ضرب هذا الدرهم بتفليس سنة ثمن و ثمنين
სახელითა ალაჰისა მოიჭრა ესე დირჰემი წელსა ხუთსა და ოთხმოცსა
Rv. ცენტრში არაბული ზედწერილი
الله احد الله / الصمد لم يلد و / لم يولد و لم يكن / له كفوا احد
ღმერთი ერთია, ღმერთი მუდმივია, არ იშვა, არ შობს და არ ჰყავს მას არავინ თანასწორი
წერტილოვან რკალებში მოთავსებული წრიული ზედწერილი: محمد رسول الله ارسله بالهدى و دين الحق ليظهره على الدين كله و لو كره المشركون
მუჰამადი მოციქული ალაჰისა, რომელმაც გამოგზავნა ის სწორი გზით და რჯულით ჭეშმარიტით, რათა ალამაღლოს ყველა სარწმუნოებაზე თუნდაც სძულდეთ ეს ურწმუნოებს.

Dirham. Anonymous
Temp. Al-Walid I (705-714/15) Umayyad.
AH. 85=702/03.
18291637
2.783 gr.   26.0/26.1 mm.
silver. Tbilisi
Av. Within the triple dotted circle the Central Arabic inscription:
لا اله الا / الله وحده / لا شريك له
There is no god but Allah alone, he has no associate.
Circular legend: بسم الله ضرب هذا الدرهم بتفليس سنة ثمن و ثمنين
In the name of Allah, this dirham was struck in the year in the year five and eighty
Rv. Central Arabic inscription:
الله احد الله / الصمد لم يلد و / لم يولد و لم يكن / له كفوا احد
Allah, the One and Only, Allah, the Eternal, He begot no one, nor was he begotten. And there is none like unto him.
Circular legend within dotted circles: محمد رسول الله ارسله بالهدى و دين الحق ليظهره على الدين كله و لو كره المشركون
Muhammad is the messenger of Allah, He sent him with guidance and the Religion of Truth, to proclaim it over all religion, even though the pagans may detest it.

ბიბლიოგრაფია
BIBLIOGRAPHY

М. П. Баратаев. Нумизматические факты Грузинского царства (СПб, 1844).

M. Barataev. Numismatic facts of Georgian Kingdom (in Russian) (St. Petersburg, 1844).

V. Langlois. Essai de classification des suites monétaires de la Géorgie depuis l`antiquité jusqu`à nos jours (Paris, 1860).

D. M. Lang. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia (New York, 1955).

Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика (Москва, 1955).

D. G. Kapanadze. Georgian numismatics (Moscow, 1955).

დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა (თბილისი, 1969).

D. G. Kapanadze. Georgian numismatics (Moscow, 1969).

Е. А. Пахомов. Монеты Грузии, ч. I-II (Тбилиси, 1970).

E. A. Pakhomov. Coins of Georgia, p. I-II (Tbilisi, 1970).

ირ. ჯალაღანია. ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში (თბილისი, 1972).

I. Jalagania. Topography of Kufic coins in Georgia (Tbilisi, 1972).

И. Л. Джалаганиа. Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв. (Тбилиси, 1979).

I. L. Jalagania. Foreign coins in monetary circulation of Georgia in the 5th -13th centuries (Tbilisi, 1979).

ი. გაგოშიძე, მ. ანთაძე, ც. ღვაბერიძე, მ. წოწელია, თ. ქუთელია, მ. შეროზია. ფული საქართველოში (თბილისი, 2000).

I. Gagoshidze, M. Antadze, Ts. Gvaberidze, M. Tsotselia, T. Kutelia, M. Sherozia. Money in Georgia (Tbilisi, 2000).

M. G. Klat. Catalogue of the Post-Reform Dirhams: the Umayyad Dynasty (London, 2002).

გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I (თბილისი, 2006).

G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. I (Tbilisi, 2006).

N. D. Nicol. Sylloge of Islamic Coins in the Ashmolean. Vol. 2. Early Post-Reform Coinage (Oxford, 2009).

ი. ფაღავა. საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდიზაცია (ნუმიზმატიკური მონაცემების გათვალისწინებით). ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. VIII (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014).

I. Paghava. Periodization of Arab sway in Georgia (Considering the numismatic data). The Near East and Georgia. VIII (Ilia State University, 2014).

დავით III კურაპალატი (961-1001)
DAVID III KUROPALATES (961-1001)

ბერლინის ნუმიზმატიკურ საცავში დაცულია ტაოს მმართველის, დავით III კურაპალატის ვერცხლის იშვიათი მონეტა, რომელიც მიუნცკაბინეტმა 1907 წელს ჰამბურგელი ვაჭრისაგან შეიძინა. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელს ხელი მიუწვდებოდა ესტონეთის ქალაქ ვილაში, დაახლოებით იმავე პერიოდში აღმოჩენილ განძთან, რომელშიც ეს ქართული მონეტაც შედიოდა.
მონეტაზე მმართველი კურაპალატის ტიტულითაა აღბეჭდილი. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ის 979 წელს მოიჭრა, როდესაც დავითმა დახმარება აღმოუჩინა ბიზანტიის იმპერატორ ბასილ II-ს ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში, დაახლოებით 978 ან 979 წელს. შესაძლოა, ამ დახმარების სანაცვლოდ მიიღო მან კურაპალატობის ტიტული. მონეტაც დაახლოებით ამ პერიოდშივე უნდა მოჭრილიყო. მალე, დავით კურაპალატსა და ბიზანტიის იმპერატორს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რადგან ის ბასილ II-ის მოწინააღმდეგეების ბანაკში აღმოჩნდა და ქართველ მმართველს „ღალატისთვის" ძალიან დიდი საფასურის გადახდა მოუხდა.
ბერლინის ეგზემპლარის გარდა, ცნობილია დავით III კურაპალატის სამი მონეტა: ერთი აღმოჩნდა ოლონეცკის გუბერნიაში – „ლოდეინოე პოლეში (ამჟამად სანკტ-პეტერბურგის ოლქი, რუსეთის ფედერაცია), მეორე – შვედეთში და მესამე – ქალაქ შვაანის მახლობლად (გერმანია) 1859 წელს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ დღემდე სამშობლოში ქართველი მმართველის მონეტის აღმოჩენის შემთხვევა არ დასტურდება. საქართველოს საზღვრებს გარეთ ამ საფასეების აღმოჩენის გეოგრაფია აჩვენებს, რომ ის საერთაშორისო ფულადი მიმოქცევის ნაწილი იყო. ამ მოსაზრებას ამყარებს დავით კურაპალატის მონეტების განძებში აღმოჩენის გარემოებებიც. დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოდან ამ ემისიის გადინება უცხოურ ვალუტასთან ერთად ხდებოდა. ე. პახომოვი ასეთ ვალუტად არაბულ დირჰამებს მიიჩნევდა, მაგრამ განძების ანალიზმა და თავად მონეტის იკონოგრაფიამ აჩვენა, რომ ის არაბულ დირჰამებთან ერთად ვერ მოხვდებოდა საერთაშორისო ბრუნვაში.
დავითის მონეტა ტიპის, სტილისა და ნომინალის თვალსაზრისით, ახლოს დგას თანადროულ ბიზანტიურ მონეტებთან, კერძოდ, ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის (976-1025) მილიარისებთან. შესაბამისად, მას თავისუფლად შეეძლო ებრუნა ბიზანტიურ მონეტებთან ერთად. სამეცნიერო საზოგადოებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც დავით კურაპალატის მონეტები სავაჭრო ოპერაციების შედეგად მოხვდა რუსეთის ტერიტორიაზე, ხოლო იქედან – ევროპაში. გამტარი კი იყო დღევანდელი ტამანის ნახევარკუნძულის ტერიტორია – ტმუტარაკანი. სწორედ ტმუტარაკანის საშუალებით ხორციელდებოდა ძველი რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან. სავარაუდოდ, დასავლეთ საქართველოდან უნდა შესულიყო დავით კურაპალატის მონეტები, რომლებიც დნეპრისა და ვოლგის საშუალებით ჩრდილოეთით ბალტიის ზღვის სანაპირომდე აღწევდა. ამაზე მიანიშნებს ქალაქ ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ბიზანტიური მილიარისების მიბაძვით მოჭრილი ტმუტარაკანის მონეტა. მონეტა უპასპორტოა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რეგიონალური მუზეუმის სპეციფიკას, სადაც თავს იყრის ლოკალურად აღმოჩენილი კოლექციები, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მონეტაც სადღაც ბორჯომთან ახლოსაა აღმოჩენილი. სხვაგვარად მსგავსი იშვიათი მონეტის მოხვედრა ამ მუზეუმში ძნელი წარმოსადგენია.
ამრიგად, სავარაუდოა, რომ დავით კურაპალატის მონეტები ევროპაში რუსეთის, კერძოდ, ტმუტარაკანის გავლით მოხვდნენ და საერთაშორისო მიმოქცევაში ბიზანტიურ მონეტებთან ერთად იბრუნვოდა.

The Berlin Numismatic repository preserves a rare silver coin of the ruler of Tao David III Kuropalates, which the Münzkabinet purchased from a merchant from Hamburg in 1907. As it seems, this person had access to a hoard of coins found around the same period in the Estonian town of Vila, which included this Georgian coin.

The ruler is mentioned with the Byzantine court title of Kuropalates on the coin. Accordingly, the coin was probably struck in 979 when he supported and assisted Emperor Basil II in the struggle against mutinous grandees. The army of Bardas Sclerus was annihilated by David's generals. This event took place in 978 or 979. The coins of David III are dated to 979, it was in that year that he was granted the title of Kuropalates. Soon after, the relationship between David Kuropalates and the Byzantine emperor became strained, because he ended up in the camp of Basil II's opponents, and the Georgian ruler had to pay a very high price for his "betrayal".

In addition to the above-mentioned Berlin specimen, there are known three more coins of David III Kuropalates. One of them was found in Lodeynoye pole, Olonets province (now St. Petersburg district, Russian Federation), the second one in Sweden, and the third near the town of Schwann (Germany) in 1859. It is noteworthy that none of them were found on the territory of Georgia.

Beyond the borders of Georgia, the geography of finding these coins shows that it was part of international money circulation. This opinion is supported by the circumstances of the discovery of David III Kuropalates' coins in the hoards. To be precise, we can say that the outflow of this emission from Georgia occurred along with foreign currency. E. Pakhomov considered Arab dirhams to be such a currency, but analysis of hoards of coins and the iconography of the coin itself showed that it could not enter into international circulation along with Arab dirhams.

In terms of type, style and denomination David III Kuropalates' coins are very close to almost synchronous silver pieces (miliaresion) of Basil II and Constantine VIII (976-1025), and they have the same weight and standard. So it was good money and could circulate everywhere together with Byzantine currency. Russian merchants used to come to Constantinople regularly and then they took the silver pieces of David Kuropalates to Europe. Trading contacts between Georgia and Russia must account for the findings of these coins on the territory of Europe, effected via Tmutaracan (modern Taman Peninsula). It was through Tmutarakan that the political and economic relations of Old Russia with Transcaucasia were carried out. Coins of David III Kuropalates probably came from Western Georgia, which reached the coast of the Baltic Sea in the north, through the rivers the Dnieper and the Volga.

This view is corroborated by other evidence as well. A rare Tmutaracanian piece was found in Georgia – the imitation of a Byzantine miliaresion which is preserved in the Borjomi Museum of Local Lore. There are no known Circumstances of the discovery of the coin, but if we take into account the specifics of the regional museum, which collects locally found collections, we should assume that this coin was also found somewhere near Borjomi. Otherwise, it is difficult to imagine that such a rare coin would end up in this museum.

Hence, we may conclude that David III Curopalates' coins came to Europe through Russia, namely via Tmutarakan, and circulated internationally along with Byzantine coins.

დრამა. დავით III კურაპალატი (1001)
18236675
3,10 გრ.   24,9/24,6 მმ.
ვერცხლი
Av. ორმაგ წერტილოვან რკალში
ქართული ზედწერილი:
ႵႤႸႤ – ႣႧ ქრისტე შეიწყალე დავით
Rv. ორმაგ წერტილოვან რკალში
ჭეშმარიტი ჯვარი
(ძელი ცხორებისაჲ).
ასომთავრული ზედწერილი:
ႩႳႰႪ – კურაპალატი

Drama. David III Kuropalates (1001)
18236675
3.10 gr.   24.9/24.6 mm.
Silver
Av. Within the double dotted circle the Asomtavruli inscription: ႵႤႸႤ – ႣႧ
Christ, Forgive David
Rv. Within the double dotted circle the Cross potent on the three steps.
Georgian inscription: ႩႳႰႪ – Kurapalati

ბიბლიოგრაფია
BIBLIOGRAPHY

V. Langlois. Essai de classification des suites monétaires de la Géorgie depuis l`antiquité jusqu`à nos jours (Paris, 1860).

M. F. Brosset. A propos du livre intitulé:Essai de Classification des suites de la Georgie, par M. Victor Langlois, Melanges, IV (St. Petersburg, 1863).

И. Б. Иверсен. О кладах, Труды V Археологического сьезда в Тифлисе (Москва,1887).

I. B. Iversen. About hoards, Proceedings of the V Archaeological Congress in Tiflis (Moscow,1887).

Е. А.Пахомов. Монеты Грузии, ч. I (Домонгольскийй период) (СПБ,1910).

E. A. Pakhomov. Coins of Georgia, part I (Pre-Mongol period) (St. Petersburg, 1910).

Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика (Москва, 1955).

D. G. Kapanadze. Georgian numismatics (Moscow, 1955).

D. M. Lang. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia (New York, 1955).

G. Albrecht. Des Münzwesen in Niederlothringischen und Friesischen Raum vom 10. bis zum beginnenden 12. Jahrhundert, Numizmatische Studien, Heft 6 (Hamburg, 1959)

R. Kiersnowski. Wczesnośredniowieczne skarby srebrne z Polabia. Materialy. N164 (Wrocław-Warszawa-Krakow,1964).

В. М. Потин. Р. В. Кебуладзе. Монеты Давида Курапалата в кладах западноевропейских денариев. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 2 (თბილისი, 1970).

V. M. Potin. R. V. Kebuladze. Coins of David Kuropalate in the hoards of Western European Denarius. "Matsne". History, Archaeology, Ethnography and Art History Series. N2 (Tbilisi, 1970).

თ. დუნდუა. X-XII საუკუნეების ქართული მონეტები და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები (ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია). ტ. 310 (თბილისი, 1992).

T. Dundua. Georgian coins of X-XII centuries and some issues of Georgian history. Proceedings of the Tbilisi State University (history, archeology, art history, ethnography). T. 310 (Tbilisi, 1992).

გ. დუნდუა. თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I (თბილისი, 2006).

G. Dundua, T. Dundua. Georgian Numismatics. I (Tbilisi, 2006).

ბაგრატ III (975-1014)
BAGRAT III (975-1014)

ბერლინის ნუმიზმატიკური საგანძურის მ. ბარათაშვილის კერძო კოლექციაში დაცულია უნიკალური მონეტა, რომელიც პირველად მიხეილ ბარათაშვილმა განსაზღვრა და ის დავით აღმაშენებელს მიაკუთვნა, რადგან, სავარაუდოდ, გრაფემა ႣႠ (და) მეფის სახელის დასაწყისად ჩათვალა, ხოლო ႰႬႧ (რნთ) და ႲႬႧ (ტნთ) წაიკითხა, როგორც ტიტული რანთა და ტაონთა. შეიძლება ითქვას, რომ ამ მონეტის ემიტენტად დავით აღმაშენებლის გამოცხადება სამეცნიერო წრეებში და ამ მოსაზრების დამკვიდრება მიხეილ ბარათაევის დამსახურებაა. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში ტიტულატურის ინტერპრეტირება რამდენჯერმე სცადეს მკვლევრებმა, ემიტენტად მაინც დავით აღმაშენებელი მოიაზრებოდა.

საგულისხმოა ტიტული „ტაონთა“, რომელიც მონეტაზე შემდეგი ქარაგმით – ႲႬႧ (ტნთ) არის აღბეჭდილი. მონეტის ატრიბუციის ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს, რომელი მეფისთვის იქნებოდა რელევანტური საკუთარ სამონეტო ემისიაზე, ცენტრალურ ადგილზე ამ წოდებულების განთავსება. დასავლეთ საქართველოში, კაცხის ტაძარში არსებობს ბაგრატ III-ის (975-1014) კარგად ცნობილი ლაპიდარული წარწერა, სადაც მეფის ტიტულატურაში ტაო ნახსენებია სხვა, კარგად ცნობილ ტიტულებთან ერთად. წარწერის ტრანსკრიფციაა: „ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფეჲ, ტაოჲსა და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდი კურაპალატი“. წარწერის მიხედვით, „ტაოჲსა“ ტოპონიმია და კონკრეტულ პროვინციას მიანიშნებს. სამონეტო ეპიგრაფიკაში, ანალოგიის გზით, „რანთას“ გვერდით ის გადაიქცა ტაონთას (ტაოს მცხოვრებთა) მეფედ. მონეტაზე დატანილ ტაონთა ტიტულს ლოგიკურად მივდივართ მონეტის ემიტენტამდე. გამოდის, რომ მონეტა ბაგრატ III-მ მოჭრა. მაგრამ ყოველივე ამის დასადასტურებლად მხოლოდ ტიტულატურა საკმარისი არ არის. საინტერესოა ამ დროისათვის ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება, რომელიც უკარნახებდა ბაგრატ III-ს ტაოს პროვინციისთვის პრევალირებული ადგილი მიეჩინა სახელმწიფო ინსიგნიაზე. ტაოს პროვინცია ბიზანტიის იმპერიასთან ბრძოლის საბაბი იყო ჯერ კიდევ დავით III კურაპალატიდან მოყოლებული. კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, 1001 წელს, ტაოში მისულ ბიზანტიის იმპერატორ ბასილ II-ს წარუდგა ბაგრატ III და მამამისი – მეფეთ-მეფე გურგენი. მამა-შვილს, შესაძლოა, დავით კურაპალატის სამფლობელოს მიღების იმედი ჰქონდათ, მაგრამ ბასილ II-მ იმიერტაო თვითონ დაიკავა, სამაგიეროდ, მათ ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები „უწყალობა“: ბაგრატს – კურაპალატობა, გურგენს – მაგისტროსობა. ბაგრატ III არ ეპუებოდა ამ ვითარებას და იმედს არ კარგავდა, რომ ტაოს დაიბრუნებდა. მეფე არ ცნობდა დაკარგულ ტერიტორიებს. შესაბამისად, კაცხის წარწერაში „მეფე ტაოჲს“ შეტანა ნამდვილად პროპაგანდისტული ნაბიჯი იყო მეფის მხრიდან. საფიქრებელია, რომ კაცხის წარწერაში ნახსენები ტიტულით, ტაოს (იმიერტაოს) მიწების დაბრუნების იდეა იყო გაცხადებული. ამ რეგიონისადმი მეფის განსაკუთრებული დამოკიდებულება იქიდანაც ჩანს, რომ სიცოცხლის ბოლო წუთები მან ტაოში გაატარა და ფანასკერტის ციხეში აღესრულა. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ბაგრატ III-ს ტაოს რეგიონისთვის უფრო დიდი ლეგიტიმაციაც მიეცა და თავისი პოლიტიკური მიზნები უმაღლეს იურიდიულ დოკუმენტზე – ფულზე დაეფიქსირებინა. ეს ხერხი მეფისთვის დაკარგული ტერიტორიების თავის სამეფოს იურისდიქციაში გაერთიანების იდეის თამამი გაცხადება იქნებოდა. უფრო მეტიც, ტიტულში „ტაონთა“, რაც, სავარაუდოდ, მაინც ტაოს

მკვიდრ მოსახლეობას გულისხმობს, დაკონკრეტებული არ არის, მხოლოდ ამიერტაო იგულისხმება თუ – მთელი პროვინცია. შესაბამისად, ამ ტიტულის მონეტაზე დატანით, მან დასახული პოლიტიკური პროგრამის, კერძოდ კი, იმიერტაოს ტერიტორიების დაბრუნების დეკლარირება მოახდინა. ამიტომაც აღნიშნული მონეტა, თავისი არსით, ვფიქრობთ, უფრო პროკლამაციურ ხასიათს ატარებს, მეფე ცდილობს მონეტა მასობრივი პროპაგანდის საშუალებად გამოიყენოს. მსჯელობიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ბაგრატ III არის ის მეფე, რომლისთვისაც თავის ტიტულატურაში ტაოს შეტანა უაღრესად პრინციპული უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, ამ მონეტის მომჭრელიც ბაგრატ III უნდა იყოს.

A unique coin is presented in Berlin numismatic funds from M. Baratashvili's private collection and its initial attribution is associated with the name of Michael Baratashvili. The scientist attributed the coin to Davit (David) IV the builder . Supposedly, the grapheme "ႣႠ" (DA) has been considered as the beginning of the king's name and the graphemes "ႰႬႧ" (RNT) and "ႲႬႧ" (TNT) have been reckoned as the title "Ranta" Ranians and "Taonta" Taoinas. It can be said that announcing Davit the Builder as the issuer of this coin and the approval of this view in the scientific community is the merit of Michael Barataev. Despite the fact that the researchers attempted to interpret the title several times over the years, Davit the Builder has been still considered to be the issuer of this coin.

It is noteworthy that the name "Taonta" depicted on the coin with the following character "ႲႬႧ" (TNT), is a kind of clue to the attribution of the coin. For which king would it be appropriate to place these titles in the centre of his own coin issue? There is a well-known lapidary inscription of Bagrat III (975-1014) in the Katskhi Monastery in western Georgia, where Tao is listed among other famous kingly titles. The definition (explanation) of this inscription is the following: " Bagrat, the king of Abkhasians and Kartvelians, Taoians and Ranians, Kakhetians and the Great Kuropalates of Entire East". According to the inscription "Tao" is the name of the place (toponym) and refers to the specific region. In the coin epigraphy, similarly beside the "Ranians" it turned into "Taonta" (the king of inhabitants of Tao). In connection with the Katskhi Monastery inscription of the title of "Taonta" (Taoians) inscribed on the coin, we reasonably go to the issuer of the coin. It turns out that the coin was struck by Bagrat III. Nevertheless, the kingly title is not enough to prove this consideration. It is necessary to take into account the general political context in the country at that time, which dictated Bagrat III to give the region of Tao a prevailing place on the state insignia. The province of Tao has been a reason for fighting against the Byzantine Empire ever since David III Kuropalates. After the death of David III Kuropalates in 1001, Bagrat III and his father Gurgen the king of king of Georgians, presented themselves before the Byzantine emperor Basil II in Tao. Father and son may have hoped to obtain David Kurapalates's possessions, but Basil II occupied part of Tao (Lower Tao) himself. On this occasion, Bagrat was bestowed with the Byzantine title of kuropalates, and Gurgen with that of magistros. The king did not recognize the occupied territories and did not lose hope of regaining the Tao again. Therefore, the mention of the title "King of Tao" in the Katskhi Monastery inscription actually was the king's propagandistic statement. The king's special attitude towards this region is evident from the fact that he spent the last moments of his life in Tao and he passed away at the Fanaskerti fortress. It shouldn't be unexpected that due to Bagrat III's special interest towards the Tao region, he gave great legitimation and set his political goals on the highest legal document – on the coin. This would be a bold statement of the idea of reuniting the lost territories under the jurisdiction of the king's realm. It does not specify the title "Taonta", which most likely refers to the indigenous population of Tao, whether it means only Upper Tao ("Amiertao") or the entire region. By placing this title on the coin, he announced his political aspirations, namely the reunification of his realm. Therefore, this coin has a more declarative character, the king attempted to use the coin as a means of mass propaganda. In light of the above considerations, it becomes clear that Bagrat III is a king for whom the inclusion of Tao in his title should have been extremely important. Consequently, the moneyer of this coin must be Bagrat III.

ბაგრატ III (975-1014)
18232003
0,51 გრ. 15/16 მმ.
ვერცხლი
მონეტა შემოჭრილია და აქვს ნახვრეტი.
Av. ვლაქერნის ღვთისმშობლის მკერდამდე გამოსახულება წერტილოვანი შარავანდით და შესამოსელით (მაფორიუმით). ფიგურის მარცხნივ და მარჯვნივ მხრების ზემოთ შემორჩენილია შემოჭრის შედეგად დაზიანებული ბერძნული წარწერის ნაშთი.
Rv. ასომთავრული წარწერა:
ႣႠႰ (დარ)
ႬႧႣႠ (ნთდა)
ႲႬႧ (ტნთ)

Bagrat III's (975-1014) coin
18232003
0,51 gr. 15/16 mm.
Silver
The coin is cut around and holed.
Av. Nimbate facing bust of Virgin Mary orans, wearing maphorium. Distorted Greek legend above shoulders on either side of effigy due to the holing.
Rv. Asomtavruli inscription :
ႣႠႰ (DAR)
ႬႧႣႠ (NTDA)
ႲႬႧ (TNT)

ბიბლიოგრაფია
BIBLIOGRAPHY

М. Баратаев. Нумизматические факты грузинского царства (Санкт-Петербург, 1844).

M. Barataev. Numismatic artefacts of Georgian kingdom (St. Petersburg, 1844).

M. F. Brosset. Revue de la numismatique Georgienne (St. Petersbourg, 1847).

V. Langlois. Numismatique de la Géorgie au moyen âge 18 (Paris, 1852).

V. Langlois. Lettre à M.R.Chalon sur une monnaie d'argent inédite de Bagrat III, Roi des Apkhazes, Revue de numismatique Belge, 4-e série, t. II (Bruxelles, 1864).

Е. Пахомов. Монеты Грузии (Тбилиси, 1970).

E. A Pakhomov. Coins of Georgia (Tbilisi, 1970).

ჯ. სტეფნაძე. XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან (თბილისი, 1976).

J. Stepnadze. For understanding the titles of Georgian kings of the 11th-12th centuries, Researches from the history of Georgia and the Caucasus. Tbilisi, 1976.

ი. ფაღავა. საქართველოს გაერთიანება და ნუმიზმატიკური ევოლუციის ვექტორები (X საუკუნის დასასრული – XII საუკუნის დასაწყისი), დისერტაცია ხელნაწერის უფლებით (თბილისი, 2009).

I. Paghava. Georgian Unification and Vectors of Numismatic Evolution (the End of the 10th Century – Beginning of the 12th Century) Tbilisi, 2009

ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, ტ. II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ (თბილისი, 1980).

Corpus of Georgian Inscriptions. Lapidary Inscriptions, Vol. 2. Inscriptions of Western Georgia. Compiled and prepared for publication by Valery Silogava. Tbilisi, 1980

მ. ბახტაძე. გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ქართული ტიტულატურა XI საუკუნეში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, 17/1 (2019).

M. Bakhtadze, "Georgian kingly titles of the united Georgia in the 11th century". Collection of the works of Gori State University Centre of History and Archaeology, N17/1. 2019.

მ. პატარიძე. იშვიათი ქართული სამეფო ტიტულისა და უნიკალური მონეტის ემიტენტის ურთიერთმიმართების საკითხისათვის საისტორიო კრებული, ტ. 7 (2019).

M. Pataridze. Apropos of the correlation between a rare Georgian kingly title and an emittent of the unique coin. Historical collections Vol. 7. 2019.

გიორგი II (1072-1089)
GIORGI II (1072-1089)

XI საუკუნეში ქართველი მეფეეები ჭრიან ბიზანტიური ტიპის ქართულ ფულს, რომლებზეც ემიტენტები ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულით არიან მოხსენიებული. ამ სამონეტო ჯგუფს მიეკუთვნება ბერლინში, მიხეილ ბარათაშვილის კოლექციაში დაცული გიორგი II-ის (1072-1089) ვერცხლის მონეტები.
მონეტებზე მეფე კეისრის (კესაროსის) წოდებით არის აღბეჭდილი. გიორგი II სხვა ბიზანტიური ტიტულებითაც – კურაპალატი, ნოველისიმოსი და სევასტოსი, გვხვდება როგორც ნუმიზმატიკურ ძეგლებზე, ისე საისტორიო წყაროებში. კურაპალატის ტიტული მან გამეფებამდე მიიღო, რადგან თრიალეთში, წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ავლარის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის დარბაზულ ეკლესიაში აღმოჩენილ 1050 წლით დათარიღებულ წარწერაში მამამისი ბაგრატ IV (1027-1072) ნოველისიმოსის, ხოლო თავად უფლისწული კურაპალატის წოდებითაა მოხსენიებული. ტახტზე ასვლისას, 1072 წელს, გიორგიმ ნოველისიმოსის წოდება მიიღო.
სევასტოსის პატივში აყვანის ზუსტი თარიღი არ ვიცით. ცნობილია 1085 წლით დათარიღებული ანდერძი, სადაც ის ამ ტიტულით არის უკვე მოხსენიებული.
ბერლინის ნუმიზმატიკურ საგანძურში დაცულ მონეტებზე გიორგი II გვხვდება კესაროსად და კეისრად. მიუხედავად იმისა, რომ გიორგის ვერცხლის მონეტების რაოდენობა მსოფლიოში დაახლოებით 100 ეგზემპლარია, აღსანიშნავია, რომ კეისრად მეფის მონეტაზე გამოსახვის ეს ერთადერთი შემთხვევაა. შინაარსობრივად და უფლებრივადაც, ეს ორი ტერმინი ქართულ სინამდვილეში ერთი მნიშვნელობისაა. ქართულ საისტორიო წყაროებში გიორგი II ორივე წოდებულებით გვხვდება. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერაში, 1104 წელს, მეფე კეისრის ტიტულით გვხვდება. ზუსტად რომელ წელს მიიღო ქართველმა მეფემ ეს წოდებულება, ცნობილი არ არის. საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ 1081 წელს ის უკვე კეისარია. სამეცნიერო წრეებში გამოთქმულია ვარაუდები, რომ მეფემ კეისრის (კესაროსის) ტიტული მიიღო ან 1076 წელს, როდესაც ბანაში ზავი დაიდო საქართველოსა და ბიზანტიას შორის, ან 1078 წელს, ბიზანტიის იმპერატორის, ნიკიფორე III ბოტანიატეს კორონაციის დროს.

In the 11th century, Byzantine-style coins were struck by the Georgian kings, on which the minting authorities are mentioned with the Byzantine court titles. Giorgi II's (1072-1089) silver coins which are preserved in Berlin numismatic collection belong to this monetary group. The king is mentioned with the title of Caesar (Caesaros) on the coin. Giorgi II possessed the other Byzantine titles of Kuropalates, Nobilissimus and Sebastos, which can be found both on numismatic monuments and in historical sources. Giorgi received The title of Kuropalates before his ascension to the throne. In the inscription found in the Church of the Transfiguration of the Savior in the village of Avlar, Tsalka municipality, his father Bagrat IV (1027-1072) is mentioned as Nobilissimus, and the prince himself is referred to as Kuropalates in 1050. Towards the end of 1072, he became king receiving gradually the title of Nobilissimus and Sebastos. There is no known precise date in which year he received this title. According to the testimony dated 1085, he was already mentioned with the title of Sebastos.

George II is referred to Caesar on the coins which are preserved in Berlin Numismatic funds. Although the extant specimens of Giorgi II's silver coins count some 100 pieces, It should be noted that this is the only specimen depicting Caesar's title on a king's coin. In Georgian reality, these two titles (Caesar and Caesaros) have the same meaning in terms of content and rights since Giorgi II can be found with both kingly titles in Georgian historical sources. For instance, in the Code (Dzeglistsera) of Ruis-Urbnisi Church Council Giorgi II appears with the title of Caesar in 1104. In compliance with the historical sources, he was already bestowed this title in 1081. There are some assumptions in the scholarly community to some extent that the king received the title of Caesar (Caesaros) either in 1076 when a truce was concluded between Georgia and Byzantine Empire in Bana, or in 1078, during the coronation of the Byzantine emperor Nikephoros III Botaneiates.

გიორგი II (1072-1089)
18236677
1,04 გრ. 23/24 მმ.
ვერცხლი
Av. ვლაქერნის ღვთისმშობლის მკერდამდე გამოსახულება წერტილოვანი შარავანდით და შესამოსელით (მაფორიუმით). მონეტის კიდე დაზიანებულია, ამიტომ ფიგურის მარცხნივ და მარჯვნივ მხრების ზემოთ შემორჩენილია დაზიანებული ბერძნული წარწერის ნაშთი.
Rv. ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი.
ირგვლივ: † .... ႴႾႦႧႠႣ ႵႤႪႧ = ქ (რისტე) (ა) ფხ (ა) ზთა დ (ა) ქ (ართვ) ელთ (ა)
ცენტრში: წერტილოვან რკალში ასომთავრული ტექსტი – ႫႤႴႤ ႣႠ ႩႤႨႱႠႰႨ = მეფე და კეისარი
ქარაგმის გახსნით იკითხება წარწერა:
ქრისტე ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე და კეისარი
წარწერის ქვემოთ ორნამენტი.

Giorgi II (1072-1089)
18236677
1.04 gr. 18/22 mm.
silver
Av. Nimbate facing bust of Virgin Mary orans, wearing maphorium. The edge of the coin is misshaped. Illegible Greek legend above shoulders on either side of effigy.
Rv. Circular Mtavruli legend † .... ႴႾႦႧႠႣ ႵႤႪႧ = ქ (რისტე) (ა) ფხ (ა) ზთა დ (ა) ქ (ართვ) ელთ (ა)(The Abkhasians and the Kartvelians)
and continuing Circular Mtavruli legend, boarded from the central legend by dotted circle ႫႤႴႤ ႣႠ ႩႤႨႱႠႰႨ = "and Caesaros".
Complete Mtavruli legend – "Christ, exalt Giorgi, the king of the Abkhasians and the Kartvelians and Caesaros".

გიორგი II (1072-1089)
18293172
0,81 გრ. 18/22 მმ.
ვერცხლი
Av. ვლაქერნის ღვთისმშობლის მკერდამდე გამოსახულება წერტილოვანი შარავანდით და შესამოსელით (მაფორიუმით). მონეტის კიდე დაზიანებულია, ამიტომ ფიგურის მარცხნივ და მარჯვენივ მხრების ზემოთ შემორჩენილია დაზიანებული ბერძნული წარწერის ნაშთი.
Rv. ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი.
ირგვლივ: .... ႠႴႾႦႧ Ⴃ ႵႰ = აფხ(ა)ზთ(ა) დ(ა) ქ(ა)რ(თველთა)
ცენტრში: წერტილოვან რკალში ასომთავრული ტექსტი ႣႠ ႩႤႱႠႰႭႱႨ = და კესაროსი
ქარაგმის გახსნით იკითხება წარწერა: ქრისტე ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე და კესაროსი

Giorgi II (1072-1089) The coin is pierced.
18293172
0.81 gr. 23/24mm.
silver
Av. Nimbate facing bust of Virgin Mary orans, wearing maphorium. Illegible Greek legend above shoulders on either side of effigy due to the holing.
Rv. Circular Mtavruli legend: ႠႴႾႦႧ Ⴃ ႵႰ = აფხ(ა)ზთ(ა) დ(ა) ქ(ა)რ(თველთა)
(the Abkhasians and the Kartvelians)
Circular Mtavruli legend, boarded from the central legend by dotted circle
ႣႠ ႩႤႱႠႰႭႱႨ = "and Caesar".
Complete Mtavruli legend – "Christ, exalt Giorgi, the king of the Abkhasians and the Kartvelians and Caesaros".

ბიბლიოგრაფია
BIBLIOGRAPHY

V. Langlois. Essai de classification des suites monétaires de la Géorgie depuis l`antiquité jusqu`à nos jours (Paris, 1860).

D. M. Lang. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia (New York, 1955).

Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика (Москва, 1955).

D. G. Kapanadze. Georgian numismatics (Tbilisi, 1955).

დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა (თბილისი, 1969).

D. G. Kapanadze. Georgian numismatics (Tbilisi, 1969).

Е. А. Пахомов. Монеты Грузии (Тбилиси, 1970).

E. A. Pakhomov. Coins of Georgia (Tbilisi, 1970).

Р. В. Кебуладзе. Клад из села Цихесулори. Нумизматический сборник (Тбилиси,1977).

R. V. Kebuladze. Hoard from the village of Tsikhesulori. Numismatic collection (Tbilisi, 1977).

С. М. Шамба. Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н.э. – XIII в. н. э.) (Тбилиси,1987).

S. M. Shamba. Coin circulation on the territory of Abkhazia (V century BC – XIII century AD) (Tbilisi, 1987).

რ. ქებულაძე. დავით აღმაშენებლის ბიზანტიურ ტიტულიანი ვერცხლის მონეტები. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXXIX (თბილისი, 1987).

R. Kebuladze. David the Builder's Silver Coins with Byzantine Titulature. Bulletin Moambe of State Museum of Georgia. Vol. XXXIX (Tbilisi, 1987).

თ. დუნდუა. X-XII საუკუნეების ქართული მონეტები და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები (ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია). N310 (თბილისი, 1992).

T. Dundua. The 10th-12th centuries Georgian Coins and Some Issues of the Georgian History. Proceedings of Tbilisi State University (History, Archaeology, Art History and Ethnography). Vol. 310 (Tbilisi, 1992).

I. Tsukhishvili. History and coin finds in Georgia. Late Roman and Byzantine hoards (4th-13th c.) (Wetteren, 2003).

რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია. მეფეთ მეფე გიორგი II (თბილისი, 2003).

R. Metreveli, J.Samushia. King of Kings Giorgi II (Tbilisi, 2003).

თ. ჟორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ. წგნ.: I. პირველი გამოცემა ტფილისი, 1892, მეორე გამოცემა (თბილისი, 2004).

T. Jordania. Chronicles and other materials of Georgian history and literature. Collected, chronologically arranged and explained by Tedo Jordania. Vol.1, first edition Tiflis 1892. Second edition (Tbilisi, 2004).

გ. გაგოშიძე. ბაგრატ IV ნოველისიმოსი. 1050 წლის უცნობი წარწერა თრიალეთიდან. აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელწიფო მუზეუმი. ნარკვევები IX (თბილისი, 2004).

G. Gagoshidze. Bagrat IV Nobilissimus. An unknown inscription of 1050 from Trialeti. Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts of Georgia, Essays IX (Tbilisi, 2004).

გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. ტ. I (თბილისი, 2006).

G. Dundua, T. Dundua. Georgian numismatics. Vol. I (Tbilisi, 2006).

ვ. სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა (თბილისი, 2006).

V. Silogava. Epigraphy of Samegrelo and Abkhazia (Tbilisi, 2006).

მ. პატარიძე. ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტა სოფელ შენაქოდან. საისტორიო კრებული, 1 (თბილისი, 2011).

M. Pataridze. Bagrat IV Nobilissimus' coin from the village of Shenako. Historical Bulletin, N1 (Tbilisi, 2011).

ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში. დისერტაცია ხელნაწერის უფლებით (თბილისი, 2012).

L. Tavadze. Byzantine imperial titulature in Georgia. Doctoral dissertation (Tbilisi, 2012).

ქართული ნუმიზმატიკის "სპილენძის ხანა"
“COPPER AGE" OF GEORGIAN NUMISMATICS

პირველად საქართველოს ფულის მიმოქცევის ისტორიაში დავით IV აღმაშენებელი (1089-1125) იწყებს სპილენძის ფულის გამოშვებას. 1118 წლიდან ჭრის მონეტას, რომელზეც თავად მეფეა გამოსახული, ხოლო წარწერები ქართული, მთავრული ასოებით არის აღბეჭდილი. 1122 წელს, ქალაქ თბილისის აღების შემდეგ, დავითმა ჩაატარა ფულადი რეფორმა – სამონეტო ემისიაში გაუშვა სპილენძის მონეტები, რომლებზეც არაბული დამწერლობით მოათავსა მედიდური ტიტული – „მესიის მახვილი“ ამავდროულად, მონეტის წარწერაში შემოიყვანა ერაყისა და ჩრდილოეთ ირანის სელჩუკთა სულტანი მაჰმუდ ბენ მუჰამადი. აღნიშნული სამონეტო ტიპის მოჭრამ საფუძველი დაუდო წესს, რომლის მიხედვითაც მომდევნო ქართველი მმართველები ემისიებში აღმოსავლური წარწერებით სელჩუკი სულთნების (ან ხალიფას) სახელებს აფიქსირებდნენ. დავით IV-ის სამონეტო რეფორმა მნიშვნელოვანი იყო, რადგან შედეგად ქართულ ფულს გზა ეხსნებოდა ახლო აღმოსავლეთის ბაზარზე. სწორედ ამ დროიდან იწყება ქართული ნუმიზმატიკის „სპილენძის ხანა“, რომელიც ემთხვევა საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანას“. დავით აღმაშენებლის მეფობიდან, კერძოდ, 1118 წლიდან რუსუდან დედოფლის (1223-1235) ზეობამდე, კონკრეტულად 1230 წლამდე, საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში ვერცხლის ფული არ მოჭრილა. მესოპოტამიის, სირიის, ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნებში, თითქმის ერთდროულად, მიმოქცევიდან ამოვიდა ვერცხლის ფული და მისი ადგილი სპილენძის მონეტამ დაიკავა. გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური მოვლენა „ვერცხლის კრიზისის“ სახელით შევიდა ისტორიაში. „ვერცხლის კრიზისს“ უკავშირდება საკრედიტო მონეტის გაჩენა. მიმოქცევაში გამოჩნდა მონეტა, რომლის ნომინალი ბევრად აღემატებოდა რეალურ ღირებულებას. არაბული სიტყვა „ფელსი“ შეცვალა სიტყვა „დირჰამმა“, რაც, სინამდვილეში ვერცხლის, მონეტის სახელწოდება იყო. სპილენძის ფულის ნიშანს ვერცხლის ფასი ჰქონდა და იძულებითი, სავალდებულო კურსით მიმოიქცეოდა. ეს ღონისძიება ქართველმა მმართველებმაც დანერგეს. ქართულ მონეტაზე, მაგალითად, თამარ მეფისა (1184-1210) და მისი ვაჟის, გიორგი IV ლაშას (1210-1223) საფასეზე გაჩნდა წარწერა: „სახელითა ღვთისაჲთა იქნა ჭედაჲ ვერცხლის ამის“. ხორეზმის შაჰის, ჯალალ ად-დინ მანქბურნის თბილისის ოკუპაციის დროს, 1226 წელს, გადაჭედილ მონეტებზე არაბულად წერია: „იჭედა ესე დირჰამი წელსა 623“. „ვერცხლის კრიზისის“ პერიოდში მკვეთრად შეიცვალა მონეტის გარეგნული სახეც – მრგვალი მონეტების ნაცვლად შემთხვევითი ფორმისა და მოყვანილობის სპილენძის მონეტები იჭრება. ზოგ შემთხვევაში ფირფიტა იმდენად მცირეა, რომ მასზე სიქა ბოლომდე ვერ თავსდება, ხოლო ლითონის ზოგიერთ ნამზადზე სიქა რამდენჯერმეა დარტყმული. მონეტის მოჭრის ამ წესის „საავტორო უფლება“ ქართველ მმართველებს არ ეკუთვნით, თავდაპირველად მსგავსი შემთხვევა აღმოსავლეთის ქვეყნებში დაინერგა და შემდეგ მოიკიდა ფეხი საქართველოში. სავარაუდოდ, „არასწორი ჭედვის“ მონეტების ნომინალური ღირებულება არა წონით, არამედ სიქების რაოდენობით განისაზღვრებოდა. აღსანიშნავია, რომ პარალელურად, სწორი, მრგვალი ფორმის მონეტებიც იჭრებოდა.

For the first time in the history of Georgian monetary circulation, David IV the Builder (1089-1125) began minting copper coins. Since 1118, he has struck a coin with the image of the king himself, and the inscriptions are depicted in Georgian Mtavruli letters. In 1122, when David captured Tbilisi, he reformed the monetary system – he minted copper coins on which he placed the lordly title - "Sword of the Messiah" in Arabic inscription. At the same time, he introduced Mahmud ben Muhammad, the Seljuk sultan of Iraq and northern Iran, into the coin legend. The minting of the above-mentioned coin type inaugurated the tradition according to which the subsequent Georgian rulers placed the names of the Seljuk sultans (or caliphs) with oriental inscriptions in their emissions. The monetary reform of David IV was important since it paved the way for Georgian money to the Middle Eastern market. The Golden Age of the Georgian kingdom coincides with the "Copper Age" of Georgian numismatics. Starting from the reign of David IV the Builder from 1118 and throughout the following century to the reign of Queen Rusudan (1223-1235), until 1230, no silver coins had been struck in Georgia and its neighbouring countries. The so-called silver famine spread over the territories of Mesopotamia, Syria, Iran, Central Asia and Caucasian kingdoms. Copper coin replaced silver in all the above realms. The "Silver famine" is associated with the emergence of the credit coin. The Arabic word "fels" was replaced by the word "dirham", which was the name of a silver coin. Copper money had the value of a silver coin and circulated at a forced, mandatory rate. The same course of action was also introduced by the Georgian rulers. For example, the inscription "In the name of God, this silver coin was struck" appeared on the coins struck by Queen Tamar (1184-1210) and his son, Giorgi IV Lasha (1210-1223). in 1226, During the occupation of Tbilisi by Khwarazmshah Jalal al-Din Mangburni, it was inscribed in Arabic on the restruck coins: "This dirham was struck in the year 623 of the koronikon". During the "silver famine" the appearance of the coin was also changed drastically - instead of round coins there were minted irregular shapes of copper coins. Often, due to the small size of the copper planchets, the die can not be placed on them in its entirety whereas large planchets were sometimes struck with two or more impressions of the same set of dies. This method of coin minting first appeared in the Middle East and was then introduced into Georgia. Presumably, the nominal value of "irregularly struck" coins was determined not by weight but by the number of dies. It should be noted that at the same time coins of regular (round) shape were struck as well.

ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲔ I (1125-1156)
DEMETRE I (1125-1156)

დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) ვაჟი დემეტრე I, მამის მიერ დანერგილი წესის მიხედვით, არაბულენოვანი მონეტების გამოშვებას აგრძელებს, რომლებზეც მეფე „მეფეთ მეფისა“ და „მესიის მახვილის“ წოდებით არის მოხსენიებული. თავად მეფის სახელის ინიციალი Ⴃ (დ) ქართული მთავრული გრაფემითაა გამოსახული. ბერლინის ნუმიზმატიკურ საგანძურში, კერძოდ, მიხეილ ბარათაშვილის კოლექციაში, დაცულია დემეტრეს სპილენძის მონეტის ოთხი ეგზემპლარი. მონეტები საკმაოდ გაცვეთილია, მხოლოდ ერთ მონეტაზე იკითხება ხალიფის სახელი: „ალ-მუკთაფი ლიამრ ალლაჰ, მართლმორწმუნეთა მბრძანებელი“. მონეტებზე მოჭრის წელი არ არის აღბეჭდილი, თუმცა, ემისიის სავარაუდო თარიღის განსაზღვრა ნახსენები მუსლიმი მბრძანებლების მეფობის პერიოდითაა შესაძლებელი.

Demetre I, the son of David IV continues the practice of minting his coins with Arabic inscriptions introduced by his father, on which the king is depicted with the titles of "King of kings" and "Sword of the Messiah". However, the initial of the king's name is readily identified by the Mtavruli letter Ⴃ(D) found in the centre on the obverse side. There are four specimens of Demetre I's copper coins presented in the private collection of Michael Baratashvili, in Berlin Museum. His coins are badly worn and the only coin names the Baghdad Caliph "Al-Muqtafi li-amr allah, ruler of the faithful". The year of striking of his coins is not depicted. The date of the issues of Demetre I should be established by the Muslim rulers' regnal years.

დემეტრე I (1125-1156)
18293170
2,567 გრ. 14,7/14,7 მმ.
სპილენძი
Av. ასომთავრული დონი – Ⴃ, რომელიც წარმოადგენს დემეტრეს სახელის ინიციალს.
არაბული ზედწერილი:
ملك الملوك / حسام المسيح /
მეფე მეფეთა მესიის მახვილი
Rv. ხუთლერძიანი ვარსკვლავის ბუდეებში განთავსებული ხალიფას სახელი და ტიტული:
المقتفى لامر الله امير المومنين
ალ-მუკთაფი ლი-ამრ ალლაჰ, მართლმორწმუნეთა მბრძანებელი.
ერთ-ერთ ბუდეში სახელი مسعود – მას'უდი

Demetre I (1125-1156)
18293170
2,567 gr. 14,7/14,7 mm.
Copper
Av. Asomtavruli letter "D" Ⴃ, which represents first letter of Demetre's. Arabic legend:
... / ملك الملوك / حسام المسيح
King of Kings Sword of the Messiah
Rv. Name and title of the Caliph in the frames of pentagonal rosette:
المقتفى لامر الله امير المومنين
Al-Muqtafi Li-Amr Allah, ruler of the faithful
Name مسعود Mas'ud is written in one frame.

დემეტრე I (1125-1156)
18293190
3,818 გრ. 15,6/15,3 მმ.
სპილენძი
Av. ასომთავრული დონი – Ⴃ, რომელიც წარმოადგენს დემეტრეს სახელის ინიციალს.
არაბული ზედწერილი:
ملك الملوك / [حس]ام المسيح /
მეფე მეფეთა მესიის მახვილი.
Rv. ხუთლერძიანი ვარსკვლავის ბუდეებში განთავსებული ხალიფას სახელი და ტიტული:
المقتفى ...
ალ-მუკთაფი ლი-ამრ ალლაჰ, მართლმორწმუნეთა მბრძანებელი.
ერთ-ერთ ბუდეში სახელი مسعود – მას'უდი.

Demetre I (1125-1156)
18293190
3,818 gr. 15,6/15,3 mm.
Copper
Av. Asomtavruli letter Ⴃ "D", which represents first letter of Demetre's. Arabic legend:
... / ملك الملوك / [حس]ام المسيح
King of Kings Sword of the Messiah
Rv. Name and title of the Caliph in the frames of pentagonal rosette:
المقتفى ...
Al-Muqtafi Li-Amr Allah, ruler of the faithful
Name مسعود Mas'ud is written in one frame.

დემეტრე I (1125-1156)
18293191
4,983 გრ.   15,8/15,8 მმ.
სპილენძი
Av. ასომთავრული დონი – Ⴃ, რომელიც წარმოადგენს დემეტრეს სახელის ინიციალს. არაბული ზედწერილი გაცვეთილი.
Rv. ხუთღერძიანი ვარსკვლავის ბუდეებში განთავსებული გაცვეთილი არაბული წარწერა ერთ-ერთ ბუდეში სახელი مسعود – მას’უდი.

Demetre I (1125-1156)
18293191
4,983 gr. 15,8/15,8 mm.
Copper
Av. Asomtavruli letter Ⴃ “D", which represents first letter of Demetre’s. Arabic legend:
Rv. Name and title of the Caliph in the frames of pentagonal rosette:
Al-Muqtafi Li-Amr Allah, Name مسعود – Mas’ud is written in one frame.

დემეტრე I (1125-1156)
18293192
2,883 გრ.   15,5/14,8 მმ.
სპილენძი
Av. ასომთავრული დონი – Ⴃ, რომელიც წარმოადგენს დემეტრეს სახელის ინიციალს. არაბული ზედწერილი:
...الملوك / ... الم ...
... მეფეთა ...
Rv. ხუთღერძიანი ვარსკვლავის ბუდეებში განთავსებული გაცვეთილი არაბული წარწერა ერთ-ერთ ბუდეში სახელი مسعود – მას’უდი.

Demetre I (1125-1156)
18293192
2,883 gr. 15,5/14,8 mm.
Copper
Av. Asomtavruli letter Ⴃ “D", which represents first letter of Demetre’s. Arabic legend:
...الملوك / ... الم ...
... of Kings ...
Rv. Name and title of the Caliph in the frames of pentagonal rosette:
Name مسعود Mas’ud is written in one frame.

გიორგი III (1157-1184)
GIORGI III (1157-1184)

ბერლინის ნუმიზმატიკურ საგანძურში დაცულ, მიხეილ ბარათაშვილის პირად კოლექციაში გიორგი III-ის მიერ მოჭრილი სამი ტიპის მონეტებია თავმოყრილი.

აქედან ორი არასწორი ჭედვისაა. გიორგი III აგრძელებს დემეტრე I-ის ტრადიციებს და მონეტაზე არაბული დამწერლობით კვლავ ათავსებს ხალიფას სახელს. განსხვავება, ემიტენტი მეფის ინიციალებშია – ამჯერად მონეტებზე გვხვდება ასომთავრული გრაფემა „ႢႨ“ (გი).

1174 წელს გიორგი III ცვლის სამონეტო ტიპს, უშვებს მრგვალი (სწორი) ჭედვის მონეტას, რომელზეც თავად მეფეა გამოსახული მხედრული ქარაგმით „გი“, ხოლო არაბულ წარწერაში სულთნის სახელი აღარ გვხვდება და მის ნაცვლად ვკითხულობთ მედიდურ ეპითეტს: „გიორგი მეფე მეფეთა მესიის მახვილი“. ამ სამონეტო ტიპზე აღბეჭდილი გიორგი III-ის სამონეტო პორტრეტი, როგორც ჩაცმულობის ელემენტებით, ისე იკონოგრაფიული სიუჟეტით ამოვარდნილია შუა საუკუნეების საერო პირთა პორტრეტებიდან. 1844 წელს მიხეილ ბარათაშვილის მიერ გამოთქმული ერთ-ერთი ვარაუდი მონეტაზე მეფის სამხედრო ჩაცმულობით გამოსახვასთან დაკავშირებით, ახალმა ეგზემპლარებმა დაადასტურა. მონეტაზე წარმოდგენილ სცენაში გათვალისწინებულია ისლამურ ხელოვნებაში მკაფიოდ ჩამოყალიბებული ძლევამოსილი ხელმწიფის სახე. ქართველი მეფის ადრესატი მუსლიმური სამყაროა. მონეტის გამოსახულების ეკლექტურობა და ამბიციური შინაარსი კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას, კერძოდ, ანისის აღებას უკავშირდება და მონეტაც ანისის ზარაფხანაშია მოჭრილი. მონეტაზე მეფის გამოსახვის აღმოსავლური სტილის საფუძვლების კვლევამ აჩვენა, რომ გიორგი III-ის საფასის იკონოგრაფია არ არის გამორჩეული მხოლოდ სხვადასხვა ექსტრავაგანტული (ნადირობის ელემენტი, ტანზე აბჯარი) დეტალების გამო. გაირკვა, რომ ფეხმორთხმით მჯდომი მეფის იკონოგრაფიული პორტრეტი ისლამურ ნუმიზმატიკაში ამ მონეტის ემისიამდე, 1174 წლამდე, არ დასტურდება. ქართველი მეფე ფულზე ათავსებს სიუჟეტს, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ახლო აღმოსავლეთში, ფულის ემისიების ამგვარ ტიპს, რაც მუსლიმურ გარემოცვაში ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური წონის უტყუარ დასტურად შეიძლება ჩაითვალოს.

In the private collection of Michael Baratashvili, stored in the Münzkabinett Berlin there are three types of coins minted by Giorgi III. Two of them are irregular struck. Giorgi III continued the traditions of Demete I and once again placed the name of the Caliph in Arabic legend on his coin. The distinction lies in the initials of the minting authority. King Giorgi III puts his initials with Mtavruli letters “გი" (Gi) on his coins.
